საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ანგარიში

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სფეროში ლიცენზირების სისტემის შესახებ

პროექტი ხორციელდება
IRIS Centre-ის და USAID-ის მხარდაჭერით

თბილისი, 2004

შინაარსი

შესავალი 2

თავი I 5

სამყნობი, სათესლე და სარგავი 5
მასალის წარმოების ლიცენზირება 5
შესავალი 5
სალიცენზიო სახეები და მოსაკრებელი 6
განცხადება ლიცენზიის მისაღებად. სალიცენზიო პირობები 6

II თავი 8

ლიცენზიის გაცემის წესი 8
ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები 18
სალიცენზიო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება 18
ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და განახლება 19
ლიცენზიის გაუქმება 20

გასაჩივრების წესი 22

სამინისტროში გასაჩივრება 22
სასამართლოში გასაჩივრება 23

სალიცენზიო რეესტრი 24

ლიცენზიის მფლობელი საწარმოების რეორგანიზაცია 25

კონტროლის სისტემა 27

პასუხისმგებლობა 30

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 30
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 30

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა 32

§ 1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ. 32
§ 2 სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ კანონის მოკლე მიმოხილვა 40
§ 3 ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლი და ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების სისტემის განხილვა 43

დასკვნები და რეკომენდაციები 48

რეზიუმე 51

დ ა ნ ა რ თ ი 52

შესავალი

საბჭოთა კავშირის დროს არსებული გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის მოდელზე გადასვლამ, საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოში, ყველა სხვა სფეროებთან ერთად სოფლის მეურნეობის სფეროშიც სრული ქაოსი გამოიწვია.

სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის შედეგად ადრე არსებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობათაშორისი საწარმოების ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი ტიპის საწარმოო სუბიექტები. იგი აერთიანებს მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო სუბიექტს. გარდა ამისა ადრე არსებული - საბჭოური სამეურნეო წარმონაქმნების მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ფორმით.

საწყის ეტაპზე შეუძლებელი გახდა მეწარმეობის, კერძოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ვინაიდან მთავრობა და მთლიანად საზოგადოება მზად არ იყო საბაზრო ეკონომიკის მოდელზე გადასასვლელად. ქვეყანაში საერთოდ არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა ზემოაღნიშნული სფეროს რეგულირებისათვის, აღსანიშნავია სახელმწიფო მოხელეთა გამოუცდელობაც. ყოველივე ამან საკუთარი დაღი დაასვა წლების მანძილზე განვითარებულ მოვლენებს.

ქვეყნის საბაზრო მოდელზე გადასვლის შემდეგ პრიორიტეტად მეწარმეობის განვითარება და შესაბამისად მისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა გახდა. ეს თავის მხრივ კანონის ჩარჩოში მოაქცევდა მეწარმეობას, რაც ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების, მცირე ბიზნესის და საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის საფუძველი გახდებოდა. თუმცა ყოველთვის, მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ პირობას სახელმწიფო ადმინისტრაციული ბარიერები წარმოადგენდა. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ერთ-ერთი მათგანზე, კერძოდ ლიცენზიაზე. ამის მიზეზია ჩვენს მიერ სფეროში არსებული სიტუაციის სათანადოდ შეფასება – ის, რომ სფეროში აქამდე არ არსებობდა ლიცენზია და შესაბამისად არ არსებობდა სახელმწიფო რეგულირება. ლიცენზია წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის მინიჭებულ უფლებას, განუსაზღვრელი ვადით განახორციელოს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობა კანონით დადგენილი პირობების დაცვით.

თუ თვალს გადავავლებთ უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესებს ლიცენზიებისა და ნებართვების სფეროში, აშკარად შეიმჩნევა არაერთგზის მცდელობა ამ სისტემის სრულყოფისა; თუმცა ხშირი ცვლილებები და მოუწესრიგებელი ერთიანი სისტემის არ არსებობა იწვევს ამ სფეროთი დაინტერესებული პირების გაურკვევლობას, ხშირ შემთხვევაში მეწარმეებიც კი არ არიან ინფორმირებულნი ამა თუ იმ სფეროში ლიცენზიის ანდა ნებართვის აუცილებლობის თაობაზე. ლიცენზირების და ნებართვების სფეროს საკანონმდებლო რეგულირების

ნაწილში უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიღება, რომელსაც ახასიათებს ერთიანობა, სისტემურობა და წარმოადგენდა ამ სფეროების კოდიფიცირების ერთგვარ მცდელობას. მიუხედავად ამ კანონის პროგრესულობისა, მის უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს სალიცენზიო და სანებართვო სფეროების თუ საქმიანობის სახეების სიმრავლე. თითოული ლიცენზიისა, თუ ნებართვის აღება მოითხოვს სახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთობას, რომელიც მეწარმეთათვის დამატებითი ბარიერია, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ამჟამად არსებულ ვითარებას სახელმწიფო ორგანოების სისტემაში.

გამომდინარე იქიდან, რომ „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ლიცენზირების სისტემის ძირითად პრინციპებს, სახეობებს და პირობებს, საჭირო გახდა თითეულ სფეროზე შესაბამის სპეციალური კანონის მიღება, რათა მომხდარიყო სალიცენზიო-სანებართვო პირობების და სხვა სპეციფიკური-დარგობრივი საკითხების დეტალიზაცია. სწორედ ამ მიზნით 2003 წლის 7 მაისს მიღებულ იქნა „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ლიცენზირების მომწესრიგებელი აქტების გარდა, სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალებთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს (გასავრცელებლად დაშვება და ა.შ.) აწესრიგებს შემდეგი სახის დოკუმენტები:

დასახელება	დოკუმენტის სახე	მიღების წელი
სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ	საქართველის კანონი	2002 წლის 14 მაისი
სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ	საქართველის კანონი	2003 წლის 7 მაისი
„სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“	საქართველის კანონი	1999 წლის 25 ივნისი
სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ	საქართველის კანონი	2003 წლის 20 აგვისტო
სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ	საქართველის კანონი	1996 წლის 18 ოქტომბერი
„ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლის წესის“, „ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების წესის“ შესახებ	მინისტრის ბრძანება	2003 წლის 12 აგვისტო

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე ამ სახის საქმიანობებზე ლიცენზია არ გაიცემოდა. რეალურად საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობათაშორისი საწარმოების დაშლის შედეგად აღნიშნული მიწების მეპატრონენი გახდნენ გლეხები, რომლებიც ძირითადად ფუნქციონირებენ საოჯახო მეურნეობების სახით და არ არიან რეგისტრირებული როგორც მეწარმე სუბიექტები, თუმცა ეწევიან სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებას:

- **ნამყენი ნერგი** – საძირეთა სანამყენე კვირტის მყნობის შედეგად მიღებული ნერგი, რომელიც გამოიყენება მუდმივ ადგილზე დასარგავად;
- **თესლი** – სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლი, აგრეთვე სათესი მასალის ყველა ბოტანიკური სახე (ხეხილის, კენკროვნების დეკორატიული ყვავილებისა და სამკურნალო მცენარეთა ნაყოფები, რთული ნაყოფის ნაწილები, თანანაყოფები);
- **სარგავი მასალა** – სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩითილები (ხეხილის, კენკროვნების დეკორატიული ყვავილებისა და სამკურნალო მცენარეების, ვაზის, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ვეგეტაციურად გასამრავლებელი მასალა).

თავი I

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების ლიცენზირება

შესავალი

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებისათვის საწარმოს, რომელიც აპირებს შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას, აუცილებელია რომ გააჩნდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტის) მიერ გაცემული ლიცენზია.

საქართველოს ტერიტორიაზე სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ" საქართველოს კანონი, რაც შესაბამისობაში მოდის „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონთან. იგი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების ბრუნვაში შეტანისათვის განკუთვნილი სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის ყველა სახეზე, გარდა სამეცნიერო-სასელექციო და სასწავლო მიზნებით წარმოებულ სათესლე და სარგავ მასალებზე.

კანონით განისაზღვრა სამოქალაქო ბრუნვაში შესატანი სათესლე და სარგავი მასალის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი უნდა შეესაბამებოდეს ელიტურ თესლს, ანუ სუპერელიტური თესლის გამრავლებით მიღებული თესლს, პირველი ან მეორე თაობის სერტიფიცირებულ თესლს - ელიტური თესლის გამრავლებით მიღებული შემდგომი თაობების თესლს, ხოლო სარგავი მასალა–პირველი ან მეორე ხარისხის სტანდარტულ მასალას, ანუ ვეგეტაციური გამრავლების გზით მიღებულ ერთი ან ორ წლიანი მცენარის ნამყენ ან საკუთარფესვიან ძირითად სარგავ მასალას.

აღსანიშნავია, რომ ლიცენზირებას ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ" განსაზღვრული საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

„სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ" საქართველოს კანონი ამოქმედდა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" კანონის ამოქმედების დღიდან და მისი ამოქმედებიდან 6 თვის შემდეგ, კერძოდ 2003 წლის 1 დეკემბრიდან სფეროში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა ითვლება უკანონოდ.

სალიცენზიო სახეები და მოსაკრებელი

ლიცენზირებადი საქმიანობის სახეები და ლიცენზიის გამცემი ორგანო განსაზღვრულია „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, მოსაკრებლები კი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

№	სალიცენზიო საქმიანობის სახეობა	მოსაკრებელი (ლარი)
1	სამყნობი მასალის წარმოება (გარდა ვაზისა)	139
2	სათესლე მასალის წარმოება	139
3	სარგავი მასალის წარმოება (გარდა ვაზისა)	139
4	ვაზის სამყნობი მასალების სასაქონლო წარმოება	200
5	ვაზის სარგავი (ნამყენი ნერგი) მასალების სასაქონლო წარმოება	200

განცხადება ლიცენზიის მისაღებად. სალიცენზიო პირობები

ლიცენზიის მისაღებად მაძიებელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს განცხადებით. განცხადებაში აღინიშნება:

- ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი (სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტი);
- განმცხადებლის ვინაობა, მისამართი, სამეწარმეო რეესტრის მონაცემები (სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილსამყოფელი, ხელმძღვანელი პირი, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი);
- რომელი ლიცენზიის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი (სალიცენზიო სახეობის მითითება);
- განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა;
- განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხა:
  - ✓ სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (ბანკის მიერ გაცემული ქვითარი);
  - ✓ წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება.

ლიცენზიის მაძიებელმა დამატებით უნდა წარადგინოს:

ა) ინფორმაცია საწარმოში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ (*ნუსხა საწარმოში დასაქმებული პირების განთლების შესახებ*);

ბ) ინფორმაცია საკუთარ საძირეთა და სანამყენეთა სადედეების ან ასეთი სადედეების მფლობელი მეწარმისაგან მისთვის გადაცემული სამყნობი მასალების შესახებ (*საკუთარი ან სხვისგან მიღებული სარგებლობაში);*

გ) სანერგე, სამყნობ-სასტრატიფიკაციო, თესლისა და ნერგის შესანახი სასაწყობო მეურნეობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი (*ასეთი საწყობის საკუთრებაში*

არსებობისას საჯარო რეესტრიდან ცნობა, ხოლო სარგებლობისას – ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულება).

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიას გასცემს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო ლიცენზიის გასაცემად ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტი.

II თავი

ლიცენზიის გაცემის წესი

ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რომლის დაწყების საფუძველია ლიცენზიის მაძიებლის მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროში განცხადებისა და მასზე თანდართული საბუთების შეტანა, რომელიც უფლებამოსილია გასცეს მოთხოვნილი სახის ლიცენზია. ლიცენზიის მაძიებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (მაგ., ამხანაგობა).

ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღების დღესვე და დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი; განმცხადებლის მოთხოვნისას კი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების მიღებასა და რეგისტრაციაში გატარებას ახდენს, როგორც წესი, ლიცენზიის გამცემი ორგანოს კანცელარია.

თავდაპირველად, ლიცენზიის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი განცხადება და მასზე თანდართული მასალა დადგენილ მოთხოვნებს. მოთხოვნები ლიცენზირების სფეროში დადგენილია მხოლოდ კანონით. ადმინისტრაციული წარმოების ეს საფეხური გულისხმობს იმის შემოწმებას, რომ განცხადება შეესაბამება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლისა და „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებს; ასევე, უნდა შემოწმდეს განცხადებას ერთვის თუ არა სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისობის შემოწმებისას არ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და იგი მოიცავს ძირითადად განცხადების შინაარსის გაცნობასა და თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალის შემოწმებას. შესაბამისობის შემოწმებისას გამოვლინდება შემდეგი გარემოებები:

1. განცხადება ან მასზე დართული მასალები ხომ არ არის წარმოდგენილი უცხო ენაზე. საქმისწარმოება ლიცენზიის გამცემ ორგანოში მიმდინარეობს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე და ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია ყველა დოკუმენტი წარადგინოს ქართულ ენაზე. თუ რომელიმე დოკუმენტი ან შემდგომ მოთხოვნილი დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის წარმოდგენილი, ვადა მაძიებლის მიერ დაცულად ითვლება და ლიცენზიის გამცემმა ორგანომ მაძიებელს უნდა განუსაზღვროს ვადა დოკუმენტის თარგმნისა და მისი სანოტარო წესით დადასტურებისათვის, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის წარმოდგენამდე საქმისწარმოების ვადა შეჩერებულად ითვლება;

2. თუ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ლიცენზიის გაცემა მიეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე თანდართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის შესახებაც 2 დღის ვადაში შესაბამისი დასაბუთებით ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს განმცხადებელს;
3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას გამოვლინდება საქმის სირთულე ანუ შესაძლებელი იქნება თუ არა ერთთვიან ვადაში გადაწყვეტილების მიღება და საჭირო ხომ არ არის ვადის გაგრძელება 3 თვემდე. უნდა აღინიშნოს, რომ 3 თვემდე გაგრძელება არის მაქსიმუმი (რომელშიც მიეთვლება ერთთვიანი ვადაც) და ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის გამცემმა უნდა იხელმძღვანელოს საქმის სირთულით, სავარაუდოდ რა ვადაში შეძლებს გადაწყვეტილების მიღებას და იგი შეიძლება იყოს თვენახევარი, ორი თვე ან 10 დღით გაგრძელება და ა.შ. ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული აქტის (მაგ., ბრძანების) ფორმით, რომლის გამოცემისათვის ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ იმართება. ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ გახდა აუცილებელი ვადის გაგრძელება და იგი მიიღება არაუგვიანეს 7 დღისა განცხადების რეგისტრაციიდან. ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღეს უნდა ეცნობოს მაძიებელს, რომ ვადა გაგრძელებულია და გადაეცეს მას ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული აქტის ასლი;
4. თუ დადგენილი დოკუმენტები არ იქნა სრულად წარდგენილი, მაშინ ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტები და განუსაზღვროს მათი წარდგენის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. დოკუმენტების წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა უნდა იყოს გონივრული, ე.ი. ლიცენზიის გამცემმა ორგანომ მიახლოებით უნდა გათვალოს, თუ რა ვადაში შეძლებს მაძიებელი დოკუმენტების წარმოდგენას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეალური ვითარება და თუ შესაძლებელია, მოსმენილ იქნეს მაძიებლის პოზიციაც იმის შესახებ, თუ რა ვადაში შეუძლია მას აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თუ რა დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მაძიებელმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის განსაზღვრული ვადა გასულად არ ითვლება და მისი ათვლა დაიწყება მოთხოვნის დაკონკრეტებისას. თუ ამ ვადაში არ იქნა წარდგენილი დოკუმენტები, ლიცენზიის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარმოდგენის ვადა. დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ლიცენზიის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას. დოკუმენტების წარსადგენად განმცხადებლისათვის მიცემული დამატებითი ვადა არ მიეთვლება საქმის წარმოების საერთო ვადაში, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში საქმისწარმოება შეჩერებულია. ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან. განცხადების განუხილველად დატოვებისას

განმცხადებელს უფლება აქვს კვლავ მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ლიცენზიის მისაღებად; ასეთ შემთხვევაში საქმისწარმოება და შესაბამისად ვადების ათვლა იწყება თავიდან. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის ათვლა იწყება განცხადების წარდგენიდან;

5. ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი ხდება ამ საკითხების გარკვევის გარეშე, ლიცენზიის გამცემი ნიშნავს ექსპერტიზას. ექსპერტიზის დანიშვნის აქტში კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს ის კითხვები, რაზედაც სურს პასუხის მიღება ლიცენზიის გამცემ უწყებას.

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობის დადგენიდან მომდევნო 3 დღის განმავლობაში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ექსპერტიზის დანიშვნის აქტი, განცხადება და თანდართული მასალის ასლები უნდა გადაეგზავნოს ექპერტს დასკვნის წარმოსადგენად. ექსპერტი დასკვნას წარმოადგენს მასალების მიღებიდან ორი კვირის ვადაში. ექსპერტიზის მიმდინარეობისას ვადის დინება შეჩერებულია;
2. უნდა გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა მიეთითოს:
   - ლიცენზიის გამცემი ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი;
   - ლიცენზიის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების მოკლე შინაარსი;
   - ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;
   - ნებისმიერი პირის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგების ვადა;
   - ნებისმიერი პირის უფლება, რომ მას მოსაზრების წარდგენისას შეუძლია არ დაასახელოს თავისი ვინაობა;
   - ცნობის გამოქვეყნების თარიღი.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობა უნდა გამოქვეყნდეს ლიცენზიის გამცემი ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ლიცენზიის გამცემ ორგანოს არა აქვს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, მაშინ ცნობა ქვეყნდება იმ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ლიცენზიის გამცემი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. უსახსრობის ან სხვა მოტივით ცნობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შეუძლებლობისას, ლიცენზიის ორგანო ვალდებულია სულ მცირე ცნობა განათავსოს სამსახურის ოფიციალურ დაფაზე (ე.წ. სტენდზე), სადაც ნებისმიერ პირს ექნება შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გაეცნოს მას ანუ ცნობა ისეთ ადგილას უნდა განთავსდეს, რომ მისი გაცნობა ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და მის გასაცნობად დაინტერესებულ პირს შენობაში შესასვლელად საშვის მიღება არ უნდა დასჭირდეს.

საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში ნებისმიერ პირს უფლება აქვს ლიცენზიის გამცემ ორგანოში გაეცნოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ

წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებებს, ასევე საქმეში არსებულ სხვა მასალას, გააკეთოს ამონაწერები, საკუთარი ხარჯით გადაიღოს ასლები, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება წერილობით, დაესწროს საქმის ზეპირ მოსმენას. მოსაზრების წარდგენა შეუძლია არა მხოლოდ განმცხადებელს, არამედ სხვა ნებისმიერ პირსაც, რომელიც უფლებამოსილია არ დაასახელოს თავისი ვინაობა, ე.ი. დარჩეს ანონიმურად. აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ნებისმიერი პირისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირის ცნებები. ნებისმიერი დაინტერესებული პირი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე ან კანონიერ ინტერესებზე ლიცენზიის გაცემა პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს; დაინტერესებულ პირად ითვლება ასევე ლიცენზიის მაძიებელი. ნებისმიერი პირი კი არის ისეთი პირი, რომლის უფლებებზე და ინტერესებზე ლიცენზიის გაცემა უშუალო გავლენას არ ახდენს, მაგრამ სურს გამოხატოს თავისი პოზიცია ლიცენზიის კონკრეტულ სუბიექტზე გაცემასთან დაკავშირებით. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც: ნებისმიერი პირი მოსაზრებას წარმოადგენს საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში და უფლება აქვს მხოლოდ დაესწროს ზეპირი მოსმენის სხდომას, ხოლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ენიჭება უფლება ახსნა-განმარტებით გამოვიდეს ზეპირი მოსმენის სხდომაზე.

განმცხადებელს უფლება აქვს ადმინისტრაციულ წარმოებას დაესწროს პირადად ან იყოს წარმოდგენილი წარმომადგენლით. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. წარმომადგენლობის დროს სავალდებულოა ლიცენზიის გამცემი ორგანოსათვის წარდგენილი იყოს კანონის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული რწმუნებულება (მინდობილობა). ფიზიკური პირის – საქართველოს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის – მიერ გაცემული რწმუნებულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. რწმუნებულებას იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციის სახელით გასცემს დირექტორი ან ის პირი, რომელსაც წესდებით ენიჭება ასეთი უფლებამოსილება. იურიდიული პირის მიერ გაცემული რწმუნებულებას სანოტარო დამოწმება არ ესაჭიროება და საკმარისია მისი მოთავსება იურიდიული პირის სატიტულო ფურცელზე. რწმუნებულების გარდა, წარმომადგენელმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დავალების ხელშეკრულებითაც. დავალების ხელშეკრულებას სანოტარო წესით დამოწმება არ ესაჭიროება, მაშინაც კი, როცა მისი ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირია.

განმცხადებელს ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემამდე წერილობითი სახით შეუძლია აცილება განუცხადოს ლიცენზიის გამცემი ორგანოს თანამდებობის პირს, რომელსაც კანონის შესაბამისად არა აქვს უფლება მონაწილეობას იღებდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქმის ზეპირი მოსმენის სხდომაზე აცილების თაობაზე შუამდგომლობა შეიძლება დაყენებულ იქნას ზეპირადაც. აცილების საფუძველია, თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია (მოცემულ შემთხვევაში ნათესავებად ითვლება: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და–ძმა, მათი მეუღლეები და შვილები);

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) იყო ექსპერტი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;

ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;

ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

განცხადებისა და მასთან ერთად წარდგენილი სხვა მასალების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ლიცენზიის გამცემი ორგანო ადგილზე ამოწმებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმნეტებში მითითებულ მონაცემთა სისწორეს. ადგილზე შემოწმებისას ლიცენზიის გამცემი ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს ლიცენზიის გამცემი ორგანოს წარმომადგენელი და ლიცენზიის მაძიებელი.

სალიცენზიო პირობების ადგილზე შემოწმებისას ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს ოქმს დაურთოს ახსნა-განმარტება, გაეცნოს ოქმის შინაარსს, თუ ეთანხმება ხელი მოაწეროს ოქმზე, გამოთქვას შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით. თუ ლიცენზიის მაძიებელი ხელს არ აწერს ოქმს, მაშინ ოქმში უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, თუ რატომ არ აწერს იგი ხელს.

ნებისმიერი პირის მიერ მოსაზრების წარმოდგენის ვადის გასვლიდან (ანუ საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის შემდეგ) 5 დღის ვადაში იმართება საქმის ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ მაძიებელს უნდა ეცნობოს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნეს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. მოსაწვევ უწყებაში უნდა მიეთითოს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც.

ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განუმარტოს განმცხადებელს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი და ვადა, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომის შესახებ.

ლიცენზიის გამცემი ორგანო ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სამუშაო დღეს. ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს ყველა წარდგენილი დოკუმენტი, მოუსმინოს განმცხადებელსა და

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირს, განიხილოს მაძიებლის ანდა მისი წარმომადგენლის მიერ დაყენებული შუამდგომლობები (აცილების, მტკიცებულებათა წარდგენის და ა.შ). თუ ექსპერტიზა ჰქონდა დანიშნული, უფლება აქვს სხდომაზე გამოიძახოს ექსპერტი და კითხვები დაუსვას მის მიერ წარმოდგენილ დასკვნასთან დაკავშირებით. ექსპერტისათვის კითხვის დასმის უფლება აქვს მაძიებელსა და საქმეში ჩართულ დაინტერესებულ პირსაც. სხდომაზე შიძლება გამოძახებულ იქნან მოწმეები ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად.

ზეპირი მოსმენის სხდომა საჯაროა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს მას, თუმცა სხდომაზე გამოსვლის უფლებით სარგებლობენ მაძიებელი და დაინტერესებული პირი. სხდომაზე დგება ოქმი, სადაც აღინიშნება საქმის მიმდინარეობა, განხილვის დრო და ადგილი, სხდომაზე მონაწილე მხარეები, ექსპერტებისა და მოწმების ვინაობა, განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება საქმეზე ყველა გარემოების დადგენის, მტკიცებულებების გამოკვლევის, შეფასებისა და წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სახით განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 1 თვის ვადაში, ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში. ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიცეს ბრძანების სახით. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა წერილობით და ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან. გამოქვეყნების მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებისათვის არის დადგენილი. ლიცენზიის თაობაზე მიღებული აქტის გამოქვეყნება სავალდებულოა. კონკრეტულად თუ რა სახით იქნება ადმინისტრაციული აქტი გამოცემული, ეს დამოკიდებულია ლიცენზიის გამცემი ორგანოს დებულებაზე. ლიცენზია (სალიცენზიო მოწმობა) გაიცემა ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში.

ინფორმაცია ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 10 დღის ვადაში ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია მოიცავს მოკლე წერილობით პუბლიკაციას, სადაც იქნება აღნიშნული ლიცენზიის მფლობელის ან იმ პირის სახელწოდება, რომელსაც უარი ეთქვა ლიცენზიის გაცემაზე (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით, ასეთი სუბიექტის არსებობის შემთხვევაში, მაგ., ინდ. მეწარმე, შპს, სს, სპს,), გამცემი ორგანოს დასახელება, ბრძანების ნომერი და თარიღი, რომლითაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გაცემის შემთხვევაში ლიცენზირებული საქმიანობის სახეობა და ლიცენზიის მოქმედების ვადა.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის, ასევე ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის, მისი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან/და გაუქმების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ადმინისტრაციული აქტის სახეს (მაგ., ბრძანება №);
- გამომცემ ორგანოს დასახელებას;
- ადმინისტრაციული აქტის სათაურს (მაგ., ბრძანება № ლიცენზიის გაცემის შესახებ ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ);
- უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- გამოცემის დროსა და ადგილს;
- ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- ორგანო, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა (მაგ., „ბრძანება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება 1 თვის ვადაში გასაჩივრდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ან 6 თვის ვადაში სასამართლოში“).

ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმად, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია.

ადმინისტრაციული წარმოებისას დარღვეული ანუ გაშვებული ვადის აღდგენა შესაძლებელია, თუ ვადის გაშვება მოხდა საპატიო გარემოებების არსებობისას, როგორიცაა დაუძლეველი ძალა (მიწისძვრა, წყალდიდობა ან ა.შ.), ლიცენზიის მაძიებლის ავადმყოფობა ანდა სხვა საპატიო მიზეზი და ლიცენზიის გამცემი ორგანოს ბრალი. გაშვებული ვადის აღდგენისათვის ლიცენზიის მაძიებელმა წრილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპატიო გარემოებების აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღეში და უნდა დაადასტუროს საპატიო გარემოებების არსებობა განცხადებაზე ავადმყოფობის ცნობის დართვით და სხვა. ლიცენზიის გამცემი ორგანო გაშვებული ვადის აღდგენის განცხადებას განიხილავს 5 დღის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული აქტის ფორმით) ვადის აღდგენის ან ვადის აღდგენის დაუშვებლობის შესახებ.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება
ლიცენზიის გაცემის თაობაზე

ს ქ ე მ ა

განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენა ლიცენზიის გამცემ ორგანოში	
↓	
განცხადების რეგისტრაცია	მიღებისთანავე
↓	
ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან	განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღეში
↓	
საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად ვადის არაუმეტეს 3 თვემდე გაგრძელების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება	განცხადების რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში. ამის შესახებ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ეცნობება განმცხადებელს
↓	
დოკუმენტების ან ინფორმაციის არასრულად წარდგენისას ლიცენზიის მაძიებლისათვის მათ წარსადგენად ვადის (არანაკლებ 5 დღის) განსაზღვრა	
↓	

ლიცენზიის მაძიებლის თხოვნით მხოლოდ ერთხელ დამატებით, არა უმეტეს 15 დღით მოთხოვნილი დოკუმენტების ან ინფორმაციის წარდგენის ვადის გაგრძელება	„

↓

საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა და სათანადო მასალების ექსპერტისათვის გადაგზავნა	დადგენილ მოთხოვნებთან დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის ვადაში

↓

ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა	მასალების მიღებიდან 2 კვირის ვადაში

↓

ლიცენზიის თაობაზე წარდგენილი მასალების საჯარო გაცნობისათვის ცნობის	შესაბამისობის დადგენიდან 3 დღეში

↓

ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობა და საკუთარი მოსაზრების წარდგენა ნებისმიერი პირის მიერ	საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში

↓

ზეპირი მოსმენის დანიშვნა	ლიცენზიის მაძიებელს ეცნობება საქმის ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ უნდა იქნეს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად

↓

ზეპირი მოსმენა	მოსაზრებების წარდგენის ვადის გასვლიდან 5 დღეში
ლიცენზიის მაძიებლისათვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება, განცხადების განხილვის წესისა და ვადის გაცნობა	
ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ წარდგენილი დოკუმენტის გამოკვლევა, განმცხადებელისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ პირის მოსაზრების მოსმენა და გადაწყვეტილების მიღება საქმეზე ყველა გარემოების დადგენის, შეფასებისა და წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე	
გადაწყვეტილებისს მიღება ლიცენზიის გაცემის ან მის გაცემაზე უარის შესახებ	განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან ერთ თვეში ზეპირი მოსმენიდან 10 დღეში
სალიცენზიო მოწმობის გაცემა	ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ლიცენზია არ გაიცემა, თუ:

- ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ლიცენზიის მისაღებად კანონით დადგენილ პირობებს.
- ლიცენზიის მაძიებელი ითხოვს ლიცენზიას, რომელიც გაუქმებულია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი;
- ლიცენზიის მაძიებელს შეუჩერდა ამ სფეროში მიღებული ლიცენზიის მოქმედება და არ აღმოფხვრილა ლიცენზიის შეჩერების საფუძველი.

აკრძალულია ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა გასაცემი ლიცენზიების რაოდენობის შეზღუდვის მოტივით.

ნებისმიერი პირზე, რომელიც აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობებს, უნდა გაიცეს ლიცენზია, ვინაიდან სამომხმარებლო ბაზარი არ არის შეზღუდული და აქედან გამომდინარე დაუშვებელია ამ მიზეზით უარი ეთქვას განმცხადებელს.

სალიცენზიო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს წერილობითი განცხადებით სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის მიღების თაობაზე.

სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებელი განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებელი შეადგენს 10 ლარს.

ლიცენზიის გამცემი განცხადების მიღებიდან ორ დღეში გასცემს სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს. შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება უწყებრივ და სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში.

დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებით ლიცენზიის გამცემი ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად წარმართავს მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ლიცენზიის დუბლიკატი წარმოადგენს ახალ სალიცენზიო მოწმობას, რომელიც აბსოლუტურად იგივე შინაარსის მატარებელია, რაც დედანი. ერთადერთი, რითიც განსხვავდება მისგან ეს არის წარწერა, რომელიც აღინიშნება მოწმობის თვალსაჩინო ადგილას შემდეგი შინაარსით: „დუბლიკატი“ ან „ასლი“. რაც შეეხება ნუმერაციას, გუნებრივია ლიცენზიის დუბლიკატს ექნება ადრე დაკარგული თუ დაზიანებული ლიცენზიისგან განსხვავებული ნომერი, რაც არანაირად არ წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან მოწმობის ნომერი სჭირდება ლიცენზიის გამცემ ორგანოს საკუთარი აღრიცხვიანობის ჩასატარებლად. მეტიც ლიცენზიის გამცემ ორგანოს შეუძლია შეიმუშაოს სრულიად ახალი სალიცენზიო

მოწმობის ფორმა დუბლიკატისათვის და სათანადო წესით დამტკიცოს იგი.

ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და განახლება

იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ.

ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ თუ ლიცენზიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს. გადაწყვეტილება ლიცენზიის მფლობელს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს, რომელთა შესრულებაც (გამოსწორებაც) გამოიწვევს ლიცენზიის მოქმედების განახლებას.

ლიცენზიის მოქმედება შეჩერდება შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა. ლიცენზიის მოქმედება განახლდება ლიცენზიის განახლების შესახებ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ლიცენზიის მოქმედების განახლების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით განაახლოს ლიცენზიის მოქმედება.

ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

ლიცენზიის მფლობელს, კანონის საფუძველზე, უფლება აქვს გარკვეული ვადით გააბრძელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა ლიცენზიის გამცემის ზედამხედველობით იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან ლიცენზიის გაუქმება ზიანს აყენებს, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინტერესებს,.

ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილების ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში გასაჩივრება არ იწვევს არსებული გადაწყვეტილების შეჩერებას, თუ ლიცენზიის გამცემი, საჩივრის განმხილველი ორგანო ან სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

ლიცენზიის გაუქმება

ლიცენზიის გაცემაზე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, თუ:

- იგი გასცა არაუფლებამოსილმა ორგანომ ან პირმა;

  სამყნონი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სფეროში ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი ორგანო განისაზღვრება „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების შესახებ " კანონით, ხოლო ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი პირი კი, ლიცენზიის გამცემი ორგანოს დებულებით.

- იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად ირღვევა ლიცენზიის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

  ლიცენზია გაუქმდება, თუ იგი გაიცა ისეთ საქმიანობაზე რომელიც კანონით არის აკრძალული. ლიცენზიის გაუქმების დამოუკიდებული საფუძველია მისი გაცემის წესის არსებითი დარღვევა. კანონით პირდაპირ განისაზღვრა, რომ ლიცენზია უნდა გაიცეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში (ლიცენზიის გაცემის წესი) „არსებითი მოთხოვნების დარღვევად" ითვლება თუ არ გამოქვეყნდა ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ, მაძიებელი და სხვა დაინტერესებული პირები არ იქნენ მოწვეული საქმის ზეპირ მოსმენაზე, მაძიებელს არ ეცნობა საქმის განხილვის ვადის გაბრძელების შესახებ, ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ აქტი გამოიცა შესაბამისობის დადგენიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, დაირღვა მოსაზრებების წარდგენის 20 დღიანი ვადა, ადმინისრტაციული აქტი ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ გამოქვეყნდა.

- ლიცენზიის გაუქმება პირდაპირ მითითებულია კანონში;
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ლიცენზიის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და ლიცენზიის მოქმედებამ (საქმიანობამ) შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;
- არსებობს ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა;
- სახეზეა ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუუნაროდ ცნობა) ანდა ლიკვიდაცია;

  ლიცენზიის მფლობელის გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების, ქმედუუნაროობის აღიარების ან ლიკვიდაციის საფუძვლით ლიცენზია გაუქმდება მაშინ, თუ წარმოდგენილი იქნება თითოეული ამ საფუძვლის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება; თითოეული ზემოაღნიშნული ფაქტი (ლიცენზიის მაძიებლის გარდაცვლილად გამოცხადება, ქმედუუნაროდ აღიარება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში კი – ლიკვიდაცია) დადგენილი უნდა იყოს სასამართლოს მიერ.

- ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადა გასულია და არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი;

  სალიცენზიო პირობების დარღვევისას ლიცენზიის გამცემი ორგანო აჩერებს ლიცენზიის მოქმედებას არაუმეტეს 3 თვის

ვადით. ამ ვადაში დარღვეული სალიცენზიო პირობების გამოუსწორებლობა იქნება ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.

- გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგა, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება.

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი წესით.

თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლისას არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი და თუ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ლიცენზიის გამცემი ვალდებულია 3 დღეში მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ. ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მფლობელს დაუყოვნებლივ შეატყობინებს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სალიცენზიო მოწმობა გამცემს უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში.

გასაჩივრების წესი

ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, მათი მოქმედების შეჩერების ან განახლების და/ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში.

საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირების მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან სამინისტროში) ან შესაბამის რაიონულ სასამართლოში, კერძოდ:

> **განმცხადებელს უფლება აქვს, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირების მოქმედება ან უმოქმედობა) გადაწყვეტილების გასაჩივრების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.**
>
> **თუ განმცხადებელი ფიზიკური პირი გადაწყვეტილებას ჯერ გაასაჩივრებს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდგომ წარადგენს სარჩელს სასამართლოში, იგი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟისაგან.**
>
> **აკრძალულია დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის.**

სამინისტროში გასაჩივრება

ადმინისტრაციული საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის, სადაც აღინიშნება:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი;
ბ) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
გ) იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელება, რომლის გადაწყვეტილება (მოქმედება ან უმოქმედობა) საჩივრდება;
დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების (მოქმედება ან უმოქმედობა) დასახელება;
ე) მოთხოვნა;
ვ) გარემოებები, რომლებსაც მოთხოვნა ეფუძნება;
ზ) საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

> **ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი უნდა იქნას ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების, ან ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთ თვეში.**
>
> **იგივე წესით გასაჩივრდება, ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.**

სამინისტრო არ განიხილავს საჩივარს, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით;

ბ) სასამართლოში იხილება დავა იმავე მხარეებს შორის, იგივე საკითხზე;
გ) არსებობს ამ ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
დ) საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
ე) საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;
ვ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა.

სამინისტრო საჩივრის განხილვის (წარმოებაში მიღების) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარდგენიდან 5 დღეში[1]. მანამდე კი, საჩივრის წარმდგენ პირს აძლევს საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლებას.

სამინისტრო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისათვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი, მაშინ სამინისტრო უფლებამოსილია, საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღისა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის ვადის ერთი თვით გაგრძელების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს[2].

სამინისტროს საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
1. საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
2. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
3. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

სამინისტროს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში.

სასამართლოში გასაჩივრება

სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციული აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში[3].

სარჩელში უნდა აღინიშნოს:
1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი;
2. მოსარჩელის ვინაობა და მისამართი;
3. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება და მისამართი, რომლის აქტიც საჩივრდება;
4. მოსარჩელის მოთხოვნა;
5. გარემოებები, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა;
6. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
7. სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა.

ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას, თუ სამინისტრო ან სასამართლო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

---

[1] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 182-ე მუხლი, მე-2 ნაწილი;
[2] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 183-ე მუხლი, მე-3 ნაწილი;
[3] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 22-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

სალიცენზიო რეესტრი

სალიცენზიო რეესტრის სახეებია:

1. უწყებრივი რეესტრი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
2. სახელმწიფო რეესტრი, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს მონაცემები ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი შეჩერების ანდა გაუქმების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

ლიცენზიის შესახებ მონაცემები სახელმწიფო და უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში შეიტანება სარეგისტრაციო ჩანაწერის სახით.

ნებართვის შესახებ მონაცემები შეიტანება მხოლოდ უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.

ყველას აქვს უფლება, გაეცნოს სალიცენზიო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ლიცენზიებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

ინფორმაციის მისაღებად პირი შესაბამის უწყებაში წარადგენს წერილობით განცხადებას. სავალდებულო არ არის განცხადებაში მიეთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი.

აკრძალულია დაწესდეს რაიმე საფასური ინფორმაციის გაცემისათვის, ასლის გადაღებისათვის აუცილებელი საფასურის გარდა.

რეესტრის სამსახური მოთხოვნილ ინფორმაციას (მონაცემებს) გასცემს დაუყოვნებლივ. გაცემის ვადა შეიძლება გაიზარდოს 10 დღემდე, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

1. სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას ანდა კონსულტაციას;
2. მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

თუ ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს, შესაბამისი დასაბუთებით.

ლიცენზიის მფლობელი საწარმოების რეორგანიზაცია

ლიცენზიის (სალიცენზიო მოწმობის) გადაცემასთან დაკავშირებით ყურადება უნდა გავამახვილოთ საწარმოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის მომენტებზე, განსაკუთრებით კი, რეორგანიზაციის სახეებზე და ლიცენზიების ბედზე აღნიშნულ შემთხვევებში.

ლიკვიდაციის შემთხვევაში საწარმო უქმდება და ბუნებრივია, მასზე გაცემული ლიცენზია ანდა ნებართვა ავტომატურად ძალდაკარგულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი და არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ დროს საწარმო მხოლოდ ამოიშლება რეესტრიდან. საწარმოს ლიკვიდაცია – ესაა პროცესი, სადაც ინიშნება ლიკვიდატორი, დგინდება კრედიტორების მოთხოვნები, დებიტორები, საწარმო ჩვეულებრივ განაგრძობს ფუნქციონირებას და მიმდინარე საქმეების დასრულების, ყველა მოთხოვნის დადგენისა და ვალდებულების გასტუმრების შემდეგ მარეგისტრირებელი უწყება ამოშლის მას რეესტრიდან. ლიკვიდაცია შეიძლება რამდენიმე წელიც გაგრძელდეს;

რეორგანოიზაცია მოიცავს რამდენიმე სახეს, რომელთაც დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება:

- **შეერთება (შერწყმა)** – ორი ან მეტი დამოუკიდებელი საწარმო ერთიანდება ერთ საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში წინამორბედი 2 საწარმოს მიერ აღებული ლიცეზიები გადაეცემა უფლებამონაცვლეს და იგი არ საჭიროებს ახალი ლიცენზიის აღებას, თუმცა საწარმოების რეგისტრაციის შეერთების შედეგად წარმოქმნილი ახალი საწარმოს რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში უნდა აცნობოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს, რათა მოახდინოს რეესტრული მონაცემების ცვლილება;
- **მიერთება** – არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი საწარმო, რომლებიც უერთდებიან ერთ საწარმოს. ასეთ შემთხვევაშიც საწარმო არ საჭიროებს ლიცენზირებას და საჭიროა მხოლოდ ზემოაღნიშნული წესით რეესტრული მონაცემების ცვლილება;
- **გაყოფა** – ერთი საწარმო იყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში გაყოფამდე აღებული ლიცენზია გადაეცემა ერთ-ერთს, ხოლო თუ დანარჩენ საწარმოებსაც სურთ ლიცენზირებადი საქმიანობის დაწყება, კანონით დადგენილი წესით უნდა მიიღონ ლიცენზია. იმ საწრმოს კი, რომელსაც გადაეცა გაყოფამდე მიღებული ლიცენზია, ეკისრება ვალდებულება მიმართოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს რეესტრული მონაცემების ცვლილებების განსახორციელებლად;
- **გამოყოფა** – არსებობს ერთი საწარმო და მას გამოეყოფა ერთი ან რამდენიმე საწარმო. საწარმო კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას, მას რჩება ლიცენზია და არ წარმოეშობა რეესტრული ცვლილებების თაობაზე ლიცენზიის გამცემისათვის მიმართვის ვალდებულება. გამოყოფილმა საწარმოებმა უნდა მიმართონ ლიცენზიის გამცემს კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის მისაღებად, თუ ისინი აპირებენ ლიცენზირებადი საქმიანობის დაწყებას;

- **გარდაქმნა** – არსებობს ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო (მაგ. სააქციო საზოგადოება) და იგი გარდაიქმნება სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ (მაგ. შპს-დ). ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის ხელახლა აღება საჭირო არ არის და საჭიროა მხოლოდ რეესტრული მონაცემების ცვლილება.

კონტროლის სისტემა

სამეწარმეო საქმიანობის კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა და იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე. არავის არა აქვს უფლება თვითნებურად შევიდეს საწარმოში და განახორციელოს მისი შემოწმება. ძირითადად ამ მიზნით, რომ თვითნებურად არავინ შესულიყო საწარმოში და განეხორციელებინა მისი შემოწმება, მიღებული იქნა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონი, რომელმაც საქართველოში კონტროლის სისტემა მოაქცია განსაზღვრულ ფარგლებში და მეწარმეთათვის შექმნა მყარი გარანტია მათი სამეწარმეო საქმიანობის უფლების დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული კანონით საქართველოში კონტროლის სისტემის სტაბილიზაციის მიზნით შეიქმნა მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრი. მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრის მიზანია მაკონტროლებელ ორგანოთა აღრიცხვა და არაუფლებამოსილი ორგანოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის დაუშვებლობა.

იმისათვის, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ განახორციელოს კონტროლი მეწარმის საქმიანობაზე, იგი რეგისტრირებული უნდა იყოს მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში. მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. აკრძალულია სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლი განახორციელოს იმ ორგანომ, რომელიც არ არის რეგისტრირებული მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში. სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანომ, აგრეთვე შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. განცხადებას უნდა დაერთოს:

- სამეწარმეო საქმიანობის სახეების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა განახორციელოს კონტროლი;
- მითითება ნორმატიული აქტის (მაგ., კანონის) კონკრეტულ მუხლზე ან მუხლებზე, რომლებიც მას ანიჭებენ სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებას.

ლიცენზიის გამცემ ორგანოებს ლიცენზიის მფლობელის საქმიანობის კონტროლის უფლება მიანიჭა „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ მასალებს იხილავს მათი წარდგენიდან 10 დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ორგანო გაატარა რეგისტრაციაში როგორც მაკონტროლებელი, მაშინ იგი მასზე გასცემს რეგისტრაციის ცნობას.

კონტროლის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით კონტროლს არ წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიის, ნებართვის, სერტიფიკატის გაცემა, სავაჭრო ქსელში სერტიფიკატის

მოთხოვნა და შესაბამისი აქტის შედგენა. მეწარმის შემოწმება ლიცენზიის ანდა ნებართვის მიღების შემდეგ ექცევა კონტროლის საერთო რეჟიმში და მაკონტროლებელ ორგანოს უფლება არა აქვს სასამართლო ბრძანების გარეშე განახორციელოს მისი კონტროლი.

ლიცენზიის/ნებართვის გამცემ ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ მეწარმის საქმიანობაზე კონტროლი მხოლოდ სალიცენზიო ანდა სანებართვო პირობებთან დაკავშირებით; კერძოდ, იმ წესების, ნორმებისა და მოთხოვნების ერთობლიობის შესრულებაზე კონტროლი, რომელთა დაცვაც მოეთხოვება ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას. ლიცენზიის მისაღებად დადგენილი პირობების შემოწმება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტროლად არ ითვლება.

შემოწმების დაწყებამდე ლიცენზიის გამცემი, როგორც მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია შემოწმების დაწყებამდე მიმართოს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე გააჩნია მეწარმეს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). შუამდგომლობა მეწარმის შემოწმების თაობაზე უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება შესამოწმებელი მეწარმის ზუსტი მონაცემები – სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი – შემოწმების ვადა და ფარგლები ანუ მითითება იმის შესახებ თუ კონკრეტულად მეწარმის საქმიანობის თუ დოკუმენტაციის რა ნაწილი უნდა შეამოწმოს მაკონტროლებელმა ორგანომ. შუამდგომლობას ასევე უნდა დაერთოს მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ცნობის ასლი, რომელსაც შესაბამისი უწყების მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრაციაში გატარებისას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. თუ ეს ცნობა არ დაერთო შუამდგომლობას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და წარმოებაში არ მიიღებს შუამდგომლობას.

გამონაკლის შემთხვევაში, როცა შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე შეაჩეროს მეწარმის საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ (იმავე დღეს ან თუ ეს ვერ ხერხდება არაუგვიანეს მომდევნო დღისა) მიმართოს მოსამართლეს შემოწმების შესახებ ბრძანების მისაღებად. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მეწარმეს ანდა შეჩერების წინააღმდეგია მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით დაწყებული შემოწმების კანონიერად ცნობისა და შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია სასამართლოსადმი გაგზავნილ შუამდგომლობაში დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა, რამაც განაპირობა შემოწმების დაწყება მოსამართლის ბრძანების მიღებამდე.

მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მაკონტროლებელი ორგანოსა და მეწარმის თანდასწრებით და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში. შუამდგომლობის განხილვისას მეწარმეს ანდა მის წარმომადგენელს ეძლევა შესაძლებლობა მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საწინააღმდეგო მოსაზრებები. მოსამართლე ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ. თუ არ არსებობს მეწარმის საქმიანობის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მეწარმის საქმიანობის შემოწმება სასამართლოსადმი მიმართვამდე დაწყებული იყო და მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ მეწარმის შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ასეთ შემთხვევაში მეწარმეს უფლება აქვს მოსთხოვოს მაკონტროლებელ ორგანოს შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება და მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანების მიღება არ არის მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კონტროლის ავტომატურად დაწყების საფუძველი; ამისათვის საჭიროა მოსამართლის მიერ მიღებული ბრძანება შევიდეს კანონიერ ძალაში ანუ უნდა გავიდეს ბრძანების გასაჩივრების ვადა. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის ძალაში შესვლას. მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მხარის მიერ შესაბამის საოლქო სასამართლოში ბრძანების ასლის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. საოლქო სასამართლო საქმეს განიხილავს საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში. საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი არ გასაჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

თუ მოსამართლის მიერ მიღებულია დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე უარის თქმის შესახ, მაშინ მაკონტროლებელ ორგანოს იგივე ვადაში და წესით შუძლია ეს დადგენილება გაასაჩივროს საოლქო სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში დაწყებული შემოწმება შეჩერდება და მისი შემდგომი გაგრძელების ან შეწყვეტის ბედი დამოკიდებული იქნება საოლქო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

კონტროლის სიტემის სრულყოფის, გამოვლენილი ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა და სახელმწიფოში მეწარმეებზე განხორციელებული კონტროლის თაობაზე ერთიანი სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის მიზნით თითოეული მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 25 იანვრამდე წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს ანგარიში გასული წლის განმავლობაში ბრძანების გაცემის შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობების, სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებების რაოდენობისა და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული შემოწმების შედეგების შესახებ.
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2004 წლის 6 მაისის მონაცემებით სამეწნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სფეროში სალიცენზიო პირობების შემოწმებაზე მაკონტროლებელ ორგანოდ არ არის რეგისტრირებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს არცერთი სამსახური.

პასუხისმგებლობა

ლიცენზიის გარეშე სამეწარმეო საქმიანობისათვის დარღვევის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად დაწესებულია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია მხოლოდ ლიცენზიის გარეშე საქმიანობის ფაქტი, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მხოლოდ საქმიანობის ფაქტი არ არის საკმარისი; დამატებით აუცილებელია ლიცენზიის გარეშე საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი იქნეს გამოწვეული, რაც თავის მხრივ შეფასებასა და მტკიცებას მოითხოვს ან სახეზე უნდა იყოს მეწარმის მიერ დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ლიცენზიის გამცემი ორგანოების მოხელეების საქმიანობაზეც, თუ ისინი დაუსაბუთებლად უარს ეტყვიან ლიცენზიის მაძიებელს ან მისი გაცემის შემდეგ განახორციელებენ სალიცენზიო პირობების შემოწმებას კონტროლის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დარღვევით, რაც მეწარმისათვის მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევა

სამეწარმეო საქმიანობა ლიცენზიის გარეშე –
გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე.

(ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164-ე მუხლის პირველი ნაწილი)

სიხსლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

უკანონო სამეწარმეო საქმიანობა

1. სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება –
ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;
გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ –
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

/სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 192/

კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა

დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე, ანდა მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია –
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

/სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 190/

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

§ 1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ.

კანონი მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს; იგი ეხება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშებისა და ჰიბრიდების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის წარმოებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის დროს წარმოქმნილ ურთიერთობებს და ვრცელდება ამ კანონით დადგენილ (იხ. დანართი 1) ბოტანიკურ გვარებსა და სახეობებს მიკუთვნებული ადგილობრივი და უცხო წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, წარმოებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანისათვის განკუთვნილი თესლი და სარგავი მასალის ყველა სახეზე.

მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის წარმოებისა და სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის სახელმწიფო სისტემა შედგება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდეგი დაწესებულებებისაგან:

- სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექცია;
- თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექცია;
- ფიტოსანიტარული კარანტინის ინსპექცია;
- საქართველოს მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრი (შემდგომში - საქჯიშცენტრი);
- მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია.

აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილ ინსპექციებიდან არც ერთი იუსტიციის სამინისტროში მაკონტროლებლად რეგისტრირებული არ არის.

დაწესებულება, რომელიც სამართლებრივად უზრუნველყობს მცენარის ჯიშზე სელექციონერის უფლებებს წარმოადგენს „საქჯიშცენტრი“. იგი იღებს გადაწყვეტილებას მცენარის ჯიშის სამართლებრივ დაცვაზე და გასცემს განსაკუთრებული უფლების დამადასტურებელ მოწმობას. მოწმობა ადასტურებს სელექციონერის მიერ მცენარის ახალი ჯიშის გამოყვანასა და სელექციონერის განსაკუთრებულ უფლებებს. სელექციონერს განსაკუთრებული უფლება ანიჭებს შესაძლებლობას თვითონ გამოიყენოს (გაავრცელოს) მის მიერ გამოყვანილი მცენარის ახალი ჯიში ანდა სხვას დაუთმოს მისი გამოყენების უფლება ხელშეკრულების საფუძველზე.

დებულებას, რომლითაც განისაზღვრება „საქჯიშცენტრის” უფფლებები და მოვალეობები, ამტკიცებს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

აღსანიშნავია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ მოქმედებებისათვის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურებიდან მიღებულ შემოსავალს არ გააჩნია ფისკალური ეფექტი. იგი არ ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში და შესაბამისად წარმოადგენს „საქჯიშცენტრის“ ფინანსურ წყაროებს:

- მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვისა და გასავრცელებლად

დაშვების განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის;

- მცენარის ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის ჩატარებისათვის;
- მცენარის ჯიშის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისათვის;
- მცენარის ჯიშის დამცავი დოკუმენტების (მოწმობა, დიპლომი) გაცემისათვის;
- მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვისა და გასავრცელებლად დაშვების შენარჩუნებისათვის;
- „საქჯიშცენტრის“ ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების ჩატარებისათვის;
- საინფორმაციო, საკონსულტაციო მომსახურებისა და კვლევითი საქმიანობისათვის.

„საქჯიშცენტრი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რის გამოც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით ითვლება საჯარო დაწესებულებად. ამდენად, მის მიერ საინფორმაციო და საკონსულტაციო საქმიანობისათვის არ შეიძლება დაწესებული იყოს რაიმე სახის საფასური.

როგორც აღვნიშნეთ „საქჯიშცენტრის” საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად ირიცხება მის ანგარიშზე, რომელსაც თვითონ განკარგავს. ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებას და ამ საქმიანობაზე საფასური თავისი ბუნებით წარმოადგენს მოსაკრებელს. მოსაკრებელი კი, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დგინდება კანონით.

„საქჯიშცენტრის” მიერ წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხა ირიცხება მომავალი წლის ანგარიშზე.

„საქჯიშცენტრი“ ყოველი წლის 1 დეკემბრისათვის ამზადებს მომდევნო წლის ბიუჯეტს, რომელსაც ცენტრის დირექტორი ამტკიცებს.

„საქჯიშცენტრი“ თავისი საქმიანობის შესახებ ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს (საბუღალტრო ანგარიშგებას), რომელიც წარედგინება სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრი („საქჯიშცენტრი”) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის კომპეტენციაშიც შედის მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვის განაცხადის მიღება, განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი დოკუმენტის გაცემა, ასევე მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების განაცხადის მიღება და შესაბამისი დოკუმენტის გაცემა. „საქჯიშცენტრს“ გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც თვითონ განკარგავს. მისი საქმიანობა არ განეკუთვნება მეწარმეობას და შესაბამისად არ არის მიმართული მოგების მისაღებად. „საქჯიშცენტრი“-ს შემოსავლები გამოიყენება მასზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად და ამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის.

მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია არის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მინისტრის ბრძანებით, საზოგადოებრივ საწყისებზე. მის შემადგენლობაში შედის 20 წევრი, რომელთაგან 10 სახელმწიფო მოხელეა. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ კომისიის წევრები ფარული კენჭისყრით, კომისიის იმ წევრთაგან, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები. მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია:

- იღებს რეკომენდაციებს მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შესახებ და წარუდგენს მინისტრს;
- „საქჯიშცენტრის“ წარდგინებით განიხილავს მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვებისას საგანაცხადო მასალას.

მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვება. საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებას ექვემდებარება სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციის მიერ რეკომენდებული მცენარეთა ჯიშების შემდეგი კატეგორიები:

- ✓ ადგილობრივი და უცხო წარმოშობის მცენარეთა ჯიშები და ჰიბრიდები;
- ✓ „სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაცული ჯიშები და ჰიბრიდები (ამ კანონის შესაბამისად სელექციონერის მიერ მცენარის ახალი ჯიშის გამოყვანის შედეგად გაცემული მოწმობით დაცულ მცენარეთა ახალ ჯიშებზე).

მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების პროცედურა იწყება განაცხადის წარდგენით, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- განცხადებას მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვებაზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის, აგრეთვე სელექციონერის სახელი, გვარი და იურიდიული მისამართი;
- მცენარის ჯიშის აღწერილობას (მცენარის ჯიშის ძირითადი მორფო-ბიოლოგიური, ბოტანიკური ნიშან-თვისებები და სამეურნეო დახასიათება).

განაცხადს „საქჯიშცენტრში“ წარდგენის დღიდან 1 თვის ვადაში უნდა დაერთოს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების განაცხადი მიიღება, თუ:

- ❖ მცენარის ჯიშის დასახელება შეთანხმებულია „საქჯიშცენტრთან“;
- ❖ მცენარის ჯიში განსხვავდება სხვა ცნობილი ჯიშებისაგან;
- ❖ მცენარის ჯიში შედგენილობით ერთგვაროვანია;
- ❖ მცენარის ჯიში თაობაში სტაბილურია;
- ❖ მცენარის ჯიშის ის სახეობა, რომელსაც განეკუთვნება მცენარის ჯიში, შეტანილია „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ კანონის დანართში (იხ. დანართი 1).

- ✓ **მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისია წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ, სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებულ გაერთიანებას,**

რომლის კომპეტენციაშიც შედის მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების შესახებ რეკომენდაციის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა. იგი იხილავს მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვებისას საგანაცხადო მასალებს. აღნიშნული კომისია არის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მინისტრის ბრძანებით, საზოგადოებრივ საწყისებზე. მის შემადგენლობაში შედის 20 წევრი, რომელთაგან ნახევარი სახელმწიფო მოხელეა.

მცენარის ჯიშის გამოცდა მის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ტარდება სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციის მიერ და წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

მცენარის ჯიშის გამოცდა მის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე ტარდება ორი ვეგეტაციის განმავლობაში, მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის ძირითადი პრინციპების შესაბამისად. ამ პრინციპებიდან ძირითადი აქცენტი კეთდება გარემოს დაცვის პრინციპზე.

მცენარის ჯიშის სახელმწიფო გამოცდა მის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე ტარდება საქართველოს შესაბამის ნიადაგურ-კლიმატურ ზონებში არსებულ სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციის სადგურებში ან სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციასთან შეთანხმებით, საამისოდ შერჩეულ ადგილებში.

მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების რეკომენდაცია მიიღება მის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის 2 წლის მონაცემების საფუძველზე, მესამე წელს სახელმწიფო გამოცდის გაგრძელების აუცილებლობის პირობით.

მცენარის ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდისათვის განმცხადებელი ვალდებულია სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციას უსასყიდლოდ გადასცეს საჭირო რაოდენობის თესლი (ნერგი) მითითებულ მისამართზე და განსაზღვრულ ვადებში.

თუ სახელმწიფო გამოცდის შედეგების მიხედვით, მცენარის ჯიში სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობის მაჩვენებლებით აღემატება ადგილობრივად გავრცელებულ მცენარის ჯიშს, მაშინ ასეთი ჯიშის საგანაცხადო მასალა გადაეცემა „საქჯიშცენტრს“, რომელიც მას გადასცემს მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიას რეკომენდაციის მისაღებად.

საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დასაშვები მცენარეთა ჯიშების მონაცემები ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში (გამოქვეყნება ხდება „საქჯიშცენტრის“ ბიულეტენში).

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მცენარეთა ჯიშების მონაცემების ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ შეიტანოს გასავრცელებლად დასაშვები მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო

სარგებლიანობის კრიტერიუმების უარყოფასთან დაკავშირებული პრეტენზია.

„საქჯიშცენტრი“ დაინტერესებული პირის მიერ ამ ვადაში წარგდენილი პრეტენზიის მასალას უგზავნის განმცხადებელს და სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციას, რომლებსაც უფლება აქვთ 2 თვის ვადაში წარუდგინონ „საქჯიშცენტრს“ წერილობითი პასუხი.

თუ განმცხადებელმა სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექციასთან შეთანხმებით ამ ვადაში არ წარადგინა „საქჯიშცენტრში“ დასაბუთებული პასუხი, ეს უკანასკნელი ორი თვის ვადაში განიხილავს პრეტენზიას და წარუდგენს მას მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიას, რომელიც იღებს რეკომენდაციას მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების თაობაზე.

გასავრცელებლად დასაშვები მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობის კრიტერიუმების უარყოფასთან დაკავშირებული პრეტენზია შინაარსობრივად არის საჩივარი და მისი განხილვის წესი და პერიოდი არ უნდა იყოს ხანგრძლივი. ამასთან, პრეტენზიაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არ არის მოწესრიგებული მისი აპელაცია სოფლის მეურნეობის მინისტრთან. ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ კომისია არ არის საჯარო დაწესებულება და ამდენად, მის მიმართ ვერ გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გასაჩივრების წესი.

მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვება ფორმდება სახელმწიფო რეესტრში შეტანით, ხოლო განცხადებაში მითითებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე გაიცემა მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების დიპლომი.

განმცხადებელს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვს მცენარის ვეგეტაციის პერიოდში, საკონტროლო ნაკვეთში აწარმოოს დაკვირვება განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე, მათ მიერ მოწოდებული გასავრცელებლად დასაშვები მცენარის ჯიშის სახელმწიფო გამოცდის მიმდინარეობაზე.

სახელმწიფო რეესტრის საფუძველზე „საქჯიშცენტრი“ ყოველწლიურად გამოსცემს საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების ჩამონათვალს, რომელიც არის ოფიციალური გამოცემა და შეიცავს მცენარეთა თითოეული ჯიშის მორფო-ბიოლოგიურ, ბოტანიკურ ნიშანთვისებებსა და სამეურნეო დახასიათებას.

მცენარის ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობასა და სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის შედეგების შესახებ მონაცემები გადაეცემა განმცხადებელს, მის უფლებამონაცვლეს ან წარმომადგენელს.

მცენარის ჯიშის სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე სახელმწიფო გამოცდის შედეგების შესახებ მონაცემები გადაეცემა მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიას, მეთესლეობის ეროვნულ საბჭოს

და განმცხადებლის თანხმობით ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში.

აღსანიშნავია, რომ:

- ⇒ მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვის განაცხადის მიღებაზე, განხილვაზე, გადაწყვეტილების მიღებასა და შესაბამისი დოკუმენტის გაცემაზე, მცენარის ჯიშის გასავრცელებლად დაშვების განაცხადის მიღებაზე და შესაბამისი დოკუმენტის გაცემაზე პასუხს აგებს „საქჯიშცენტრი“;
- ⇒ მცენარის ჯიშის სამართლებრივ დაცვასა და გასავრცელებლად დაშვებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე და შესაბამისი დოკუმენტების გაცემამდე განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში „საქჯიშცენტრი“ ასეთი მცენარეთა ჯიშების შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ოფიციალურ გამოცემაში და გაცნობის მიზნით აწყობს საგანაცხადო მასალის გამოფენას;
- ⇒ „საქჯიშცენტრი“ ყოველწლიურად გამოსცემს საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული მცენარეთა ჯიშების ჩამონათვალს;
- ⇒ „საქჯიშცენტრი“ განმცხადებელთან შეთანხმებით სახელმწიფო გამოცდის შედეგებს აქვეყნებს „საქჯიშცენტრის“ ბიულეტენში;
- ⇒ მეთესლეობის დარგის მართვის ოპტიმიზაციისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, მინისტრის ბრძანებით იქმნება მეთესლეობის ეროვნული საბჭო, როგორც სათათბირო ორგანო;
- ⇒ მეთესლეობის ეროვნული საბჭოს სტატუსს და შემადგენლობას განსაზღვრავს და რეგლამენტს ამტკიცებს სოფლის მეურნეობის მინისტრი;
- ⇒ მეთესლეობის ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში თანაბრად შედიან სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლები;
- ⇒ სელექციური მიღწევების გამოცდის ინსპექცია ვალდებულია ჰქონდეს საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული ყველა მცენარის ჯიშის ეტალონური კოლექცია.

თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის სამართლებრივი დაცვა. თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს განსაზღვრავს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ინსპექცია. მისი განსაზღვრისათვის საჭიროა:

- ▪ ნათესების (ნარგაობის) მინდვრად ინსპექტირების (აპრობაციის) სერტიფიკატი;
- ▪ ხარისხის განსაზღვრისათვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

თესლზე ან სარგავ მასალაზე, რომელიც აკმაყოფილებს თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნებს, გაიცემა ხარისხის სერტიფიკატი.

ხარისხის სერტიფიკატის ამოქმედების ვადა აითვლება ანალიზის დამთავრების დღიდან, ხარისხის სერტიფიკატის მოქმედების ვადა კი განისაზღვრება თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

თესლზე ან სარგავ მასალაზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თესლის მარკეტინგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნებს, გაიცემა ოფიციალური საბუთი (ანალიზის შედეგი).

თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის შესახებ მონაცემები გადაეცემა განმცხადებელს ან წარმომადგენელს.

თესლისა და სარგავი მასალის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა დასაშვებია, თუ:

- მცენარის ჯიში, რომელსაც ეკუთვნის თესლი ან სარგავი მასალა, შეტანილია სახელმწიფო რეესტრში;
- თესლი და სარგავი მასალა დასტურდება ხარისხის სერტიფიკატით და მცენარის ჯიშზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის ნებართვით.

თესლისა და სარგავი მასალის მწარმოებელი ვალდებულია ჰქონდეს:

- თესლისა და სარგავი მასალის წარმოების მოცულობის შესახებ საბუთები;
- სამოქალაქო ბრუნვაში შესატანად განკუთვნილი თესლის მინდვრად ინსპექცირების (აპრობაციის) და თესლის ხარისხის შემოწმების საბუთები.

მწარმოებელი ვალდებულია ზემოაღნიშნული საბუთები შეინახოს სამი წლის განმავლობაში.

სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი უნდა შეესაბამებოდეს საბაზისო თესლს (ელიტურ თესლს), პირველი თაობის სერტიფიცირებულ თესლს ან მეორე თაობის სერტიფიცირებულ თესლს, ხოლო მასალა – პირველი ან მეორე ხარისხის მასალას.

სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი თესლი და სარგავი მასალა დასტურდება:

- საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული მცენარეთა ჯიშების ჩამონათვალით, რომელიც ქვეყნდება სამინისტროს ბიულეტენში და რომელშიც მითითებულია მცენარის ჯიში, რომელსაც განეკუთვნება თესლი ან სარგავი მასალა;
- მცენარის ჯიშის გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის თანხმობით (თუ მწარმოებელი არ არის მცენარის ჯიშის მფლობელი);
- ფიტოსანიტარული სერტიფიკატით (იმპორტ-ექსპორტის შემთხვევაში);
- ხარისხის სერტიფიკატით (მისი მოქმედების ვადის გასვლამდე);
- საიმპორტო და საექსპორტო დანიშნულების თესლისა და სარგავი მასალის ტარით ტრანსპორტირებისას – ეტიკეტით, ხოლო ტარის გარეშე ტრანსპორტირებისას – თანმხლები საბუთებით.

თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტზე აღნიშნული მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის სერტიფიკატში მითითებულ მონაცემებს.

შენიშვნა 1: ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატებით დამუშავებული თესლისა და სარგავი მასალის ტარაზე უნდა იყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერა. ტარას უნდა ახლდეს ინსტრუქცია იმ პრეპარატის დახასიათებითა და მასთან მოპყრობის წესების მითითებით, რომლითაც დამუშავებულია თესლი და სარგავი მასალა.

შენიშვნა 2: თესლის შესაწამლად გამოყენებული ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატები შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად დაშვებული პრეპარატების შესაბამის ნუსხაში და დამოწმდეს ფიტოსანიტარული კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის მიერ.

§ 2 სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ კანონის მოკლე მიმოხილვა

სელექციური მიღწევა წარმოადგენს მცენარის ჯიშს, რომელიც წარმოადგენს მიზანმიმართული სამეურნეო საქმიანობის შედეგს. სელექციური მიღწევა დაცულია კანონით, კერძოდ სელექციური მიღწევებზე განსაკუთრებული უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემით. მოწმობა ადასტურებს მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას სელექციური მიღწევების გამოყენებაზე.

ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას სელექციური მიღწევების დაცვის სფეროში ატარებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის სახელმწიფო კომისია.

სელექციურ მიღწევაზე კომისიის მიერ გაცემული მოწმობა რეგისტრირდება მოწმობით დაცული სელექციური მიღწევების სახელმწიფო რეესტრში.

მოწმობის მოქმედების ვადაა 30 წელი სელექციური მიღწევების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან; ვაზის, მერქნიანი, ხეხილოვანი, დეკორატიული, ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ტყის ჯიშებისათვის, მათ შორის საძირეთათვის – 35 წელი.

სელექციური მიღწევის განსაკუთრებული უფლების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი პასუხობს ქვემოთ ჩამოთვლილ დაცვის კრიტერიუმებს და სახეობა, რომელსაც განეკუთვნება ეს ჯიში შეტანილია ბოტანიკური გვარებისა და სახეობების ნუსხაში. აღნიშნული დაცვის კრიტერიუმებია:

- ✓ **სიახლე** – მცენარის ჯიში მიიჩნევა ახლად, თუ მოწმობაზე განაცხადის შეტანის დღისათვის ამ ჯიშის მცენარის თესლი წარმოებაში გამოყენების მიზნით სელექციური მიღწევის ავტორს არ გაუყიდია და არ გადაუცია სხვა პირისათვის საქართველოს ტერიტორიაზე განაცხადის შეტანამდე 1 წლით ადრე, ხოლო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე 4 წლით ადრე, ვაზის, მერქნიანი, ხეხილოვანი, დეკორატიული და ტყის ჯიშებისა კი – არანაკლებ 6 წლით ადრე;
- ✓ **განსხვავებულობა** – სელექციური მიღწევა, ძირითად ნიშან-თვისებების მიხედვით, უნდა იყოს განსხვავებული შეტანის დღისათვის არსებული საყოველთაოდ ცნობილი სელექციური მიღწევებისაგან;
- ✓ **ერთგვაროვნება** – ერთი და იგივე მცენარეები ბიოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით უნდა იყვნენ ერთგვაროვანნი ჯიშის გამრავლების პროცესისათვის დამახასიათებელი ცვალებადობის გათვალისწინებით;
- ✓ **სტაბილურობა** – სელექციური მიღწევა Iთვლება სტაბილურად, თუ მრავალჯერადი გამრავლების ან გამრავლების განსაკუთრებული ციკლის პროცესში, გამრავლების ყოველი ციკლის ბოლოს, მისი ძირIთადი ჯიშური ნიშან-თვისებები უცვლელი რჩება.

სელექციურ მიღწევაზე მოწმობის გაცემის პროცედურა. მოწმობის გაცემის პროცედურა იწყება განაცხადის წარდგენით, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- მოწმობის გაცემის განცხადებას;
- სელექციური მიღწევების ანკეტას;
- დადგენილი საფასურის გადახდის, საფასურიდან გათავისუფლების შესახებ ცნობას.

აღნიშნული საბუთების ფორმასა და შინაარსს ადგენს კომისია.

სელექციური მიღწევის დასახელება უნდა იძლეოდეს მისი იდენტიფიცირების საშუალებას, იყოს მოკლე და განსხვავდებოდეს იმავე ახლო მდგომი ბოტანიკური სახეობის სხვა სელექციური მიღწევის დასახელებისაგან და არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისაგან.

მოწმობის გაცემაზე განაცხადის **წინასწარი ექსპერტიზა** ტარდება განაცხადის წარდგენიდან 1 თვის ვადაში და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განაცხადი მიიღება და ქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ბიულეტენში. ამის შემდეგ განმცხადებელს უფლება აქვს 6 თვის ვადაში კომისიაში შეიტანოს **პრეტენზია სელექციური მიღწევის სიახლესთან დაკავშირებით** და 3 თვის ვადაში წარადგინოს დასაბუთებული პასუხი პრეტენზიაში დასმული საკითხების შესახებ. **სელექციური მიღწევის გამოცდა განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე** ტარდება კომისიის მიერ დადგენილი მეთოდიკისა და ვადაში. განმცხადებელი ვალდებულია გამოცდისათვის კომისიის მიერ მითითებულ მისამართზე და განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს საჭირო რაოდენობის მცენარის თესლი ან ნერგი.

საფასურები.
სელექციურ მიღწევაზე მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის შესასრულებლად დაწესებული საფასური გადაიხდება „საქჯიშცენტრში". ჩამონათვალს, რა ქმედებების განხორციელებისათვის გადაიხდება საფასური, მის ოდენობას, გადახდის ვადას, საფასურის ოდენობის შემცირების, მისგან გათავისუფლების ან უკან დაბრუნების წესს ადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებას და ამ საქმიანობაზე საფასური თავისი ბუნებით წარმოადგენს მოსაკრებელს. მოსაკრებელი კი, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დგინდება კანონით.

მოწმობის მფლობელს გააჩნია **განსაკუთრებული უფლებები** სელექციურ მიღწევაზე, კერძოდ ნებისმიერი პირი ვალდებულია მისგან აიღოს ლიცენზია (ნებართვა) მოწმობით დაცული შემდეგი სელექციური მიღწევის გამოყენების სახეებზე:

- ✓ წარმოება და კვლავწარმოება;
- ✓ შემდგომი გამრავლების მიზნით სათეს კონდიციამდე დაყვანა;
- ✓ შენახვა;
- ✓ გაყიდვა და გასხვისების სხვა სახე;
- ✓ საქართველოს ტერიტორიიდან გატანა;
- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა.

სელექციური მიღწევის ავტორს უფლება აქვს სელექციური მიღწევის გამოყენებისათვის მოწმობის დამქირავებლისაგან მიიღოს საავტორო ანაზღაურება მოწმობის მოქმედების პერიოდში. ანაზღაურების რაოდენობა და პირობები განისაზღვრება მოწმობის მფლობელისა და სელექციური მიღწევის ავტორის ხელშეკრულებით.

§ 3 ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლი და ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების სისტემის განხილვა

2003 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანებით გამოიცა საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, კერძოდ:

- „ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლის წესი“;
- „ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების წესი“.

ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლი.

ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლის მიზანია სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების უზრუნველყოფა ობიექტური ინფორმაციით.

ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლს ახორციელებს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი – „სამტრესტი“.

ვაზის სადედეების, სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლი ხორციელდება ფიზიკური ან იურიდიული პირის გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც უკავშირდება პირის განზრახვას – აწარმოოს ვაზის სამყნობი მასალები ან ნამყენი ნერგი.

კონტროლი ხორციელდება სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ყველა ეტაპზე. კონტროლის შედეგად დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა წარმოების მოცემული პირობები და ტექნოლოგიის დაცვის ხარისხი სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის ჯიშურ სიწმინდეს და ფიტოსანიტარულ სიჯანსაღეს.

კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭება ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტი”-ს სპეციალისტებისათვის ხორციელდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, სადაც მითითებული უნდა იყოს:

- კონტროლის განხორციელების უფლებამოსილი პირის ან პირების სახელი, გვარი, თანამდებობა;
- მეწარმე სუბიექტის დასახელება, სადაც უნდა განხორციელდეს კონტროლი;
- კონტროლის მიზანი და ობიექტები;
- კონტროლის განხორციელების ვადა.

ამ პარაგრაფში აღნიშნული კონტროლი მიმართულია სერტიფიკატის გასაცემად და მასზე არ ვრცელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონით დადგენილი წესი, რადგანაც ამ კანონით კონტროლად არ

ითვლება მეწარმის შემოწმება სერტიფიკატის ან ლიცენზიის გასაცემად; ამრიგად, საჭირო არ არის სასამართლოსაგან ბრძანების გამოთხოვა მეწარმის შესამოწმებლად.

კონტროლის განხორციელებისას მაკონტროლებელი უფლებამოსილია:

1. მაკონტროლებელ პირს უფლება აქვს:
   - სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის სერტიფიცირებისათვის მაქსიმალური და ობიექტური ინფორმაციის მოპოვების მიზნით მოახდინოს სადედეების, სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის წარმოების ნებისმიერი პროცესის ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლი;
   - გაეცნოს ვენახის წიგნის და ტექნოლოგიური ხასიათის სხვა დოკუმენტების ჩანაწერებს;
   - მოითხოვოს ტექნოლოგიური ხასიათის დამატებითი ინფორმაცია.

2. მაკონტროლებელი პირი ვალდებულია:
   - შეამოწმოს მხოლოდ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კონტროლის ობიექტები (შესამოწმებელი ობიექტები წინასწარ განისაზღვრება სამტრესტის ხელმძღვანელის ბრძანებით);
   - კონტროლის დროს იხელმძღვანელოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მოქმედი ნორმატიული ხასიათის წესებით, რეგლამენტებით, ტექნოლოგიური ინსტრუქციებით;
   - კონტროლის შედეგები დეტალურად აღწეროს თავის ანგარიშში.

ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლის შედეგები „სამტრესტის“ მიერ გამოიყენება მხოლოდ სამყნობი მასალების ან ნერგის სერტიფიცირებისათვის.

- ✓ **ვაზის სადედეების, სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკურ და ფიტოსანიტარულ კონტროლს ახორციელებს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“. კონტროლის მიზანია დადგინდეს, უზრუნველყოფს თუ არა წარმოების მოცემული პირობები და ტექნოლოგიის დაცვის ხარისხი სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის ჯიშურ სიწმინდეს და ფიტოსანიტარულ სიჯანსაღეს.**

ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების წესი.
ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირების მიზანია ვაზის სამყნობი მასალისა და ნამყენი ნერგის შესაბამისობის დადგენა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სერტიფიკატს გასცემს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“.

ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიკაციის ძირითად ორგანოს წარმოადგენს „სამტრესტი“, თუმცა სერტიფიკატი შეიძლება გასცენ კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტირებულმა სხვა სასერტიფიკაციო ორგანოებმა.

სერტიფიკაციის შედეგად „სამტრესტი“-ს შესაბამისი კომისია ადგენს დასკვნას. კომისიის დასკვნა ფორმდება ოქმის სახით, სადაც დაწვრილებით აისახება სამყნობი მასალის ან ნამყენი ნერგის მახასიათებლების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

განმცხადებელმა ვაზის სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის სერტიფიცირებისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს „სამტრესტში“ ან სხვა უფლებამოსილ რეგიონალურ სასერტიფიკაციო ორგანოში.

„სამტრესტის“ ან სხვა სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ განაცხადი მიიღება მხოლოდ იმ განმცხადებლისგან, რომელსაც გაკეთებული აქვს შეტყობინება სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის წარმოების შესახებ განზრახვის და მათი ფაქტიური წარმოების შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნორმატიული აქტით - „მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში სასაქონლო პროდუქციის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის სავალდებულო შეტყობინების წესის შესახებ“ დებულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

სერტიფიცირებას დაქვემდებარებული სამყნობი მასალა ან ნამყენი ნერგი უნდა იყოს კონებად შეკრული, თითოეულში 100 ცალი რქა ან ნამყენი ნერგი.

სერტიფიკატი უნდა გაიცეს მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობის რქა ან ნამყენი ნერგი იქნება კონაში. დაუშვებელია მსგავსი ტიპის შეზღუდვების დაწესება. იგი გაუაზრებლადაა დაწესებული ისე, რომ არავითარი სამართლებრივი ან ეკონომიკური დატვირთვა არ გააჩნია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სერტიფიცირებისთვის განკუთვნილი პარტიიდან საშუალო ნიმუშის სახით აღებული უნდა იქნას კონები სხვადასხვა ადგილიდან სამყნობი მასალების შემთხვევაში 5%-ის, ხოლო ნამყენი ნერგის შემთხვევაში 10%-ის ოდენობით.

თითოეული აღებული კონიდან „ბრმად“ აიღება ათ-ათი ცალი მასალა და შეერთდება საკვლევ ნიმუშად.

სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის ვიზუალური ექსპერტიზა შესაბამისობაზე ტარდება უშუალოდ მეწარმის მეურნეობაში, რა დროსაც შესაძლებელია შესაბამისობაზე გამოკვლეულ იქნას მთლიანი პროდუქცია ან მისი ნაწილი.

საკვლევი ნიმუშის თითოეული ცალი სამყნობი მასალა ან ნერგი უნდა შემოწმდეს კანონმდებლობით დადგენილ მახასიათებლებთან შესაბამისობაზე. ამასთან ნებისმიერი საძირე, სანამყენე რქა ან ნამყენი ნერგი დაწუნებულად ითვლება, თუ მისი თუნდაც ერთი მახასიათებელი არ შეესაბამება მოთხოვნას.

კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი ნიმუში გადააგზავნოს სპეციალიზებულ ლაბორატორიაში ინფექციურ დაავადებათა გამორიცხვის მიზნით.

სერტიფიცირების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას კომისია ვალდებულია იხელმძღვანელოს:

- სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის ვიზუალური ექსპერტიზის შედეგებით;

- ლაბორატორიული კვლევის შედეგებით (ასეთი შედეგების არსებობის შემთხვევაში);
- ვაზის სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარული კონტროლის შედეგებით.

ვიზუალური და ლაბორატორიული ექსპერტიზის დროს საკვლევი ნიმუშის სულ ცოტა 90%-მა უნდა მიიღოს დადებითი შეფასება.

იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის მოტივაცია ეხება მხოლოდ ვიზუალური ექსპერტიზის შედეგებს, განმცხადებელს უფლება აქვს გადაახარისხოს თავისი პროდუქცია და ხელმეორედ მიმართოს „სამტრესტს“ ან სხვა უფლებამოსილ სასერტიფიკაციო ორგანოს განაცხადით შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესახებ.

სასერტიფიკაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „სამტრესტი“ ან სხვა უფლებამოსილი სასერტიფიკაციო ორგანო განმცხადებელს გადასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს და ატარებს მას რეესტრში.

შესაბამისობის სერტიფიკატი, განმცხადებლის სურვილისამებრ გაიცემა სამყნობი მასალების ან ნამყენი ნერგის მთლიან რაოდენობაზე ან მის ნაწილზე (პარტიაზე).

ეს დებულება ფინააღმდეგობაში მოდის ზემოთაღნიშნულ სერტიფიცირებას დაძვემდებარებული სამყნობი მასალის ან ნამყენი ნერგის კონებში არსებულ რაოდენობასთან, რომლის მიხედვითაც თითოეულში უნდა იყოს 100 ცალი რძა ან ნამყენი ნერგი.

შენიშვნა: შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 4 თვის განმავლობაში.

შესაბამისობის სერტიფიკატში მითითებული უნდა იყოს მისი გაცემის საფუძველი.

„სამტრესტი“ ვალდებულია:

- განაცხადის შემოსვლიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს კომისიის გამგზავრება კვლევის ადგილზე;
- განაცხადის შემოსვლიდან 10 დღეში დაასრულოს კვლევა;
- განაცხადის შემოსვლიდან 15 დღეში გასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი, ან განაცხადის მოტივირებული წერილობითი უარი სერტიფიკატის გაცემაზე.

რეგიონალური სასერტიფიკაციო ორგანოები ვალდებულნი არიან:

- განაცხადის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში დაასრულოს კვლევა;
- განაცხადის შემოსვლიდან 15 დღის ვადაში გასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი ან განაცხადის მოტივირებული წერილობითი უარი სერტიფიკატის არ გაცემაზე;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალურ ორგანოს - „სამტრესტს“ წარუდგინოს თითოეული

გაცემული სერტიფიკატის ირგვლივ არსებული დოკუმენტაციის მთლიანი პაკეტის ასლი.

- ✓ ვაზის სამყნობი მასალების და ნერგის სერტიფიკაციის ძირითად ორგანოს წარმოადგენს „სამტრესტი“, თუმცა სერტიფიკატი შეიძლება გასცენ კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტირებულმა სხვა სასერტიფიკაციო ორგანოებმა. სერტიფიკაციის შედეგად მიღებული დასკვნა ფორმდება ოქმის სახით, სადაც დაწვრილებით აისახება სამყნობი მასალის ან ნამყენი ნერგის მახასიათებლების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სამყნობი მასალების და ნამყენი ნერგის ექსპერტიზისათვის ტარდება ვიზუალური ექსპერტიზა, თუმცა კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი ნიმუში გადააგზავნოს სპეციალიზებულ ლაბორატორიაში ინფექციურ დაავადებათა გამორიცხვის მიზნით.
  ვაზის სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის რეალიზაცია შესაბამისობის სერტიფიკატის გარეშე იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ვაზის სამყნობი და სარგავი მასალების რეალიზაცია შესაბამისობის სერტიფიკატის გარეშე

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 (რვაასი) – დან 1000 (ათასი) ლარამდე.

იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ რომელსაც 1 წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 (ორი ათასი) – დან 3000 (სამი ათას) ლარამდე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოქსის 105^3 მუხლი.

დასკვნები და რეკომენდაციები

რეალური სიტუაციის და საკანონმდებლო აქტების კვლევის საფუძველზე წარმოჩინდა შემდეგი ძირითადი პრობლემები, რომლებზეც შესაბამისად მომზადებულ იქნა გარკვეული სახის რეკომენდაციები:

1. სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია მრავალი სახის ადმინისტრაციული ბარიერი – ლიცენზია, რეგისტრაცია, მოწმობა და სერტიფიცირება. აღნიშნული ბარიერები თავის მხრივ დროშია გაწელილი და გარკვეულ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ეს ბარიერები შინაარსობრივად ერთმანეთს ემსგავსება.

   სფეროს საკანონმდებლო რეგულირების აშკარად პროგრესული ნაბიჯი იქნებოდა კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, გამოხატული ზემოთხსენებული ბარიერების შემცირებაში.

   სოფლის მეურნეობის სფეროში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვეულებების ფონზე ურთულეს ამოცანას წარმოადგენს „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ" კანონის პრაქტიკაში დანერგვა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სფეროში განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაზე ლიცენზია დღემდე არ გაცემულა. ამის მიზეზია ის, რომ სფეროში არსებული ბიზნესის მომხმარებელი დასახლებულია ნაკლებად ურბანულ ტერიტორიებზე და შესაბამისად მათი ინფორმირებულობის დონე დაბალია

   ლიცენზიის შემოღებით სახელმწიფო ელოდა, რომ სფეროში არსებული სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, გამოხატული უხარისხო სამყნობი, სათესლე თუ სარგავი მასალის გავრცელების შეზღუდვაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოლოდინი არ გამართლდა, ვინაიდან „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ" საქართველოს კანონით ლიცენზია გაუაზრებლადაა შემოღებული და მას არანაირი დატვირთვა (გარდა დამატებითი ბარიერისა) არ გააჩნია.

   ჩვენი აზრით სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაუქმებით მოიხსნება დამატებითი ბარიერი, რაც აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობისაკენ, მითუმეტეს იმ პირობებში, რომ ლიცენზია არ უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხს, რაც ესოდენ აწუხებს ქვეყანას. პროდუქციის ხარისხი დგინდება ხარისხის სერტიფიკატით.

   გარდა ამისა სფეროში არსებობს მრავალი სხვა სახის ბერკეტი, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფო სტრუქტურებს კონტროლ ქვეშ ჰყავდეს შესაბამისი სფერო;

2. „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულებების სისტემაში ავტონომიური რესპუბლიკის

შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისთვის ლიცენზიებისა და ნებართვების გადაცემის უფლებამოსილების გადაცემის წესის შესახებ" პრეზიდენტის 2003 წლის 29 სექტემბრის №472 ბრძანებულებამ დაადგინა ავტონომიური რესპუბლიკისთვის გადასაცემი ლიცენზირებადი და სანებართვო სფეროებში ლიცენზიის/ნებართვის გაცემის უფლება. მათ შორის არ არის სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სფერო. აქედან გამომდინარე მაძიებელი რომელიც რეგისტრირებულია ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სურს სამყნობი, სათესლე ან სარგავი მასალის წარმოება, იძულებულია ჩამოვიდეს თბილისში და ლიცენზიის მისაღებად მიმართოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სასოფლო-სამეურნეო მომსახურების დეპარტამენტს).

ჩვენი აზრით აუცილებელია ცვლილებების შეტანა პრეზიდენტის ბრძანებულებაში, რათა დღეს არსებულ ლიცენზირებად და სანებართვო სახეობებს დაემატოს სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის უფლება;

3. ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში საშვის გარეშე შესვლა აკრძალულია, სერიოზულ ეჭვს ბადებს ლიცენზიის გაცემის პროცესის საჯაროობაში. კერძოდ ნებისმიერ დაინტერესებულ, თუ მესამე პირს არ შეეძლება ინფორმაციის მიღება ლიცენზიის მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სტენდი რომელზედაც გამოკრული იქნება აღნიშნული ინფორმაციის შემცველი განცხადებები არ იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

აუცილებელია აღნიშნული პრობლემის მართებულად გადაჭრა თუნდაც ეს იყოს განცხადებების სტენდის შენობის გარე ფასადზე განთავსება;

4. გამომდინარე იქიდან, რომ ლიცენზიის გამცემ ორგანოსთვის ლიცენზიის მიღების მოთხოვნით ამ ეტაპზე არცერთ მეწარმეს არ მიუმართავს, შესაბამისად არ არსებობს გამოცდილება იმისა, თუ როგორ ხორციელდება ლიცენზიის გაცემის პროცესი პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე ცხადია მათ არ აქვთ გააზრებული იმ პროცედურების შესახებ, რომლის მიხედვითაც გაიცემა ლიცენზია. ლოგიკურია ისიც, რომ ლიცენზიის გაცემის პრეცენდენტის არ არსებობის გამო არ არის გამოვლენილი სფეროში არსებული პრობლემები, რომლებიც შემდგომ, კანონის პრაქტიკაში დანერგვის პროცესში იჩენს თავს;

5. სფეროში არსებული კანონმდებლობის მიმოხილვისას გავეცანით სელექციური მიღწევების გამოცდის, თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის, ფიტოსანიტარული კარანტინის ინსპექციებს და საქართველოს მცენარეთა ჯიშების სელექციონერთა უფლებების დაცვის ცენტრსა (შემდგომში - საქჯიშცენტრი) და მცენარეთა ჯიშების გასავრცელებლად დაშვების კომისიას. მიუხედავად მათი

სიმრავლისა არცერთი მათგანი არ არის რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სფეროში სალიცენზიო პირობების შემოწმებაზე მაკონტროლებლად. ცხადია ვერცერთი მაკონტროლებელი ლიცენზიის გაცემის (თუ საერთოდ გვექნება ასეთი პრეცენდენტი) შემდეგ ვერ შეამოწმებს სალიცენზიო პირობებს. იმისათვის, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ განახორციელოს კონტროლი მეწარმის საქმიანობაზე, იგი რეგისტრირებული უნდა იყოს მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. პრობლემის გადაჭრის გზა იქნებოდა ერთ-ერთი ინსპექციის რეგისტრაცია მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეესტრში;

6. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარეობს რეორგანიზაცია, არ არის გარკვეული სამინისტროს სტრუქტურა ჩვენ ძალზედ გაგვიჭირდა ამომწურავი ინფორმაციის მიღება აღნიშნული სტრუქტურიდან და შესაბამისად სრული სურათის შექმნა სფეროში არსებული მდგომარეობისა. ამან თავის მხრივ გავლენა მოახდინა სფეროში ლიცენზიის სისტემის დანერგვის პროცესზე. იმედი გვაქვს, რომ რეორგანიზაციის შემდეგ სწორად გადანაწილდება ფუნქციები სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, რაც საბოლოო ჯამში ლიცენზიის სისტემის სწორ და ეფექტიან მართვამდე მიგვიყვანს.

რეზიუმე

წინამდებარე მოხსენებაში (მიმოხილვაში) განხილული საკითხები ლიცენზიის სფეროს მოწესრიგების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ იგი ვერ იქნებოდა ამომწურავი და სრულყოფილი შესაბამისი დარგების სპეციფიკიდან, სახელმწიფო მართვის აპარატში დღეისათვის არსებული მდგომარეობიდან, საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმების მონიტორინგის გაუმართავი და დაუხვეწავი სისტემიდან გამომდინარე. თუმცა ამ სფეროში მომუშავე ექსპერტებს, მეწარმეებს, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს შეუქმნის გარკვეულ წარმოდგენას არსებული პრობლემატიკის შესახებ, რამაც რთული სიტუაციიდან მართებული გამოსავლის სწორი ხედვა უნდა ჩამოუყალიბოს ყველა დაინტერესებულ პირს. ბუნებრივია, ის სირთულეები, რომლებიც დღესაც მრავლადაა ლიცენზიის სისტემაში, საჭიროებს გადაუდებელ მოწესრიგებას, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე კანონის მოთხოვნათა განუხრელი აღსრულების დონეებზე. ეს კი თავის მხრივ ჩვენი მხრიდან შემდგომი კვლევების, მონიტორინგის, სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი აქტიური მხარდაჭერის საგანი უნდა გახდეს.

დ ა ნ ა რ თ ი

„სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ“ საქართველოს კანონის

ბოტანიკური გვარებისა და სახეობების ჩამონათვალი, რომელტაც მიკუთვნებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშები ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას და გასავრცელებლად დაშვებას

I. ერთწლიანი კულტურები

[1] რიგზე	კულტურა	გვარი	სახეობა
1	2	3	4
1	რბილი ხორბალი	Triticum	T. aestivum
2	მაგარი ხორბალი	Triticum	T. durum
3	დიკა ხორბალი	Triticum	T. carthlicum
4	ტრიტიკალე	Triticale	T. hecsaploid
5	ქერი	Hordeum	H. sativum
6	ჭვავი	Secale	S. cereale
7	შვრია	Avena	A. sativa
8	სიმინდი	Zea	Z. mays
9	ფეტვი	Panicum	P. miliaceum
10	ღომი	Setaria	S. italica
11	ბარდა	Pisum	P. sativum
12	ოსპი	Lens	L. esculenta
13	მუხუდო	Cicer	C. arientinum
14	ცულისპირა	Lathrus	L. sativum
15	ცერცველა	Vicia	V. sativa
16	ცერცვი	Vicia	V. faba
17	ლობიო	Phaseolus	Ph. vulgaris
18	სოია	Clicine	Cl. hyspida
19	ხანჭკოლა	Lupinus	L. albus
20	მზესუმზირა	Helianthus	H. annuus
21	არაქისი	Arachis	A. hypogaea
22	რაფსი	Brassica	Br. napus
23	ვარდისფერი გერანი	Pelargonium	P. roseum
24	ევგენოლური რეჰანი	Oscimum	O. gratissimum
25	ქინძი	Coriandrum	C. sativum
26	თამბაქო	Nicotiana	N. tabacum
27	სელი	Linum	L. usitatissimum
28	კარტოფილი	Solanum	S. tuberosum
29	ჭარხალი	Beta	B. vulgaris
30	სტაფილო	Daucus	D. carota
31	თეთრთავიანი კომბოსტო	Brassica	Br. capitata

32	ყვავილოვანი კომბოსტო	Brassica	Br. caulifora
33	პომიდორი	Lycopersicum	L. esculentum
34	კიტრი	Cucumis	C. sativus
35	ხახვი	Allium	A. cepa
36	ნიორი	Allium	A. sativus
37	პრასა	Allium	A. porrum
38	თალგამურა	Brassica	Br. napus
39	ტურნეფსი	Brassica	Br. rapa
40	ბოლოკი	Raphanus	R. sativus
41	წიწაკა	Capsicum	C. annuum
42	საზამთრო	Citrullus	C. vulgaris
43	გოგრა	Cucurbita	C. maxima
44	ყაბაყი	Cucurbita	C. pepo
45	სალათა	Lacfuca	L. sativa
46	ისპანახი	Spinacia	S. oleraceae
47	კამა	Anethum	A. graveolens
48	ოხრახუში	Petroselinum	P. hortense
49	ნიახური	Apium	A. graveolens
50	პასტერნაკი	Pastinaca	P. sativa
51	ნესვი	Melo	M. microcarpus
52	სამყურა	Trifolium	Tr. pratense
53	იონჯა	Medicago	M. sativa
54	კურდღლის ფრჩხილა	Lotus	L. coniculatus
55	ძიძო თეთრი	Melilutus	M. abbis Desr.
56	ესპარცეტი	Onobrichis	On. viciaefolia
57	მდელოს ტიმოთელა	Phllum	P. pratense
58	თეთრი ნამიკრეფია	Agrostis	A. alba
59	თივაქასრა	Poa	P. pratensis
60	სათითურა	Dactylis	D. glomerata
61	მდელოს წივანა	Festuca	F. pramensis
62	კოინდარი	Lolium	L. multiflorum
63	კაბუეტი	Agropyrum	Ag. sibiricum
64	მდელოს მელაკუდა	Alopecurus	Al. pratensis
65	უფხო შვრიელა	Bromus	Br. inermis
66	სუდანურა	Sorghum	S. sudanense
67	აფრიკული ფეტვი	Pennisetum	P. typoideum

II. მრავალწლიანი კულტურები

N რიგზე	კულტურა	გვარი	სახეობა
1	2	3	4
1	ვაშლი	Malus	M. domestica
2	მსხალი	Pirus	P. domestica, P. caucasica
3	კომში	Cydonia	C. oblonga P. vulgaris

4	ატამი		C. avium
5	ბალი	Persica	C. vulgaris
6	ალუბალი	Cerasus	P. domestica
7	ქლიავი	Cerasus Prunus	P. cerasifera, P. divarieata
8	ტყემალი		P. vachuschti Bregadze
9	ალუჩა	Prunus Prunus	A. communis I. regia
10	გარგარი		C. avellana,
11	კაკალი	Armeniaca	C. pontica
12	თხილი	luglans	A. communis
13	ნუში	Corylis	F. vesca
14	მარწყვი	Amygdalus	D. kaki
15	სუბტროპიკული ხურმა	Fragaria	F. carica
16	ლეღვი	Diospyros	P. granatum
17	ბროწეული	Fucus	F. sellowiana
18	ფეიხოა	Punica	M. alba
19	თუთა	Feijoa	R. mori
20	თუთის აბრეშუმხვევია	Morus	V. vinifera
21	ვაზი	Rombyx	T. sinensis,
22	ჩაი	Vitis	T. assamica
23	მანდარინი	Thea	C. reticulata
24	ფორთოხალი	Citrus	C. sinensis
25	გრეიფრუტი	Citrus	C. paradisi
26	ლიმონი	Citrus Citrus	C. limon

მცენარის ჯიშის სამართლებრივი დაცვის და გასავრცელებლად დაშვების საფასურები
დღგ-ს გათვალისწინებით*

№	იურიდიული ქმედება	უცხოური განაცხადი	ადგილობრივი განაცხადი	
		იურიდიული და ფიზიკური პირები (ლარი, დოლარის კურსით)	იურიდიული პირი (ლარი)	ფიზიკური პირი (ლარი)
1	ფორმალურ მოთხოვნებზე ექსპერტიზა	90.00	15.00	4.00
2*	ფორმალურ მოთხოვნებზე ექსპერტიზა კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნით	90.00	20.00	5.00
3*	მცენარის ჯიშის ექსპერტიზა სიახლეზე	120.00	30.00	7.00
4	განაცხადზე საქმის წარმოების აღდგენა	60.00	10.00	2.00
5*	მცენარის ჯიშის გამოცდა განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობაზე			
6*	მცენარის ჯიშის გამოცდა სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე			
	გამოქვეყნება			
7	გამოქვეყნება 30 გვერდამდე	60,0	20.00	5.00
8	გამოქვეყნება 30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე	2,0	0.50	0.20
	მოწმობის (დიპლომის) გაცემა და ძალაში შენარჩუნება			
9	მოწმობის (დიპლომის) გაცემა და პირველი ორი წლით ძალაში შენარჩუნება	200.00	40.00	10.00
10	მესამე, მეოთხე, მეხუთე წლებში, ყოველწლიურად	50.00	25.00	6.00
11	მეექვსე, მეშვიდე, მერვე წლებში, ყოველწლიურად	70.00	40.00	10.00
12	მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე წლებში, ყოველწლიურად	170.00	60.00	15.00
13	მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე წლებში, ყოველწლიურად	250.00	75.00	18.00
14	მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე წლებში, ყოველწლიურად	300.00	90.00	22.00
15	მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე წლის შემდეგ ყოველწლიურად	500.00	135.00	34.00
16	მოწმობის აღდგენა	120.00	30.00	7.00
	ქმედებები განმცხადებლის და მოწმობის (დიპლომის) მფლობელის მოთხოვნით			

17	მცენარის ჯიშის განაცხადში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა ყოველ ერთ წერილზე	60.00	10.00	2.00
18	შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის ვადის გაგრძელება ყოველი ერთი თვით	30.00	5.00	1.00
19	განაცხადის განხილვის შეჩერება ყოველი ერთი თვით, არა უმეტეს სამი მოთხოვნისა	30.00	5.00	1.00
20*	კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნა ფორმალურ მოთხოვნებზე ექსპერტიზის დასრულების შემდეგ	60.00	10.00	2.00
21	განაცხადის დამოწმებული ერთი ასლის მომზადება	30.00	5.00	1.00
22	ცვლილებების შეტანა რეესტრში ერთი წერილის მოთხოვნით ყოველ ერთ მოწმობაზე (დიპლომზე)	60.00	10.00	2.00
23	რეესტრიდან დამოწმებული ამონაწერის გაცემა	30.00	5.00	1.00
24	სიგელის (მოწმობა, დიპლომი) დუბლიკატის გაცემა	90.00	15.00	4.00
25	დამოწმებული ამონაწერის გაცემა საფასურების გადახდის შესახებ ყოველ ერთ ქმედებაზე	5.00	1.00	0.50
26	ხელშეკრულების რეგისტრაცია ყოველი ერთი უფლების გადაცემაზე	90.00	15.00	4.00
27	სალიცენზიო ხელშეკრულების რეგისტრაცია ყოველი ერთი უფლების გადაცემაზე	30.00	5.00	1.00
28	საჩივარის განხილვა ფორმალურ მოთხოვნებზე ექსპერტიზის საკითხზე	180.00	30.00	7.00
29	საჩივარის განხილვა სიახლის ექსპერტიზის, მცენარის ჯიშის დაცვითუნარიანობის, გასავრცელებლად დაშვების ან გასავრცელებლად დაშვების შეწყვეტის საკითხზე	360.00	60.00	15.00

* უცხოელი განმცხადებლისათვის – დღს-ს ნულოვანი განაკვეთი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102-ე მუხლი);
* ადგილობრივი განმცხადებლისათვის – დღგ-ს 20%-იანი განაკვეთი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლი).
4*, 5* – თუ მცენარის ჯიშის განაცხადზე „საქჯიშცენტრში" წარმოდგენილი იქნება „უპოვ"-ის წევრ ან სხვა ქვეყანაში ჩატარებული სიახლის ექსპერტიზის ან/და განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე, სტაბილურობაზე მცენარის ჯიშის გამოცდის ანგარიშები, აღნიშნული ქმედებების საფასურები შემცირდება 50%-ით.
2*, 20* – საქართველოს მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს მიერთების შემდეგ.